# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 6 (365) ივნისი, 2023 წელი




საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით „სტუდენტური ფესტივალი – 2023“ გაიმართა, სტუდენტურ ფესტივალზე მოპოვებული გამარჯვებების მიხედვით ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, საქართველოს ტექნიკურმა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტებმა.

ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად სწორედ აღნიშნული სამი უმაღლესი სასწავლებელი დასახელდა.

გვ 3




ფინალურ სერიაში, თსსუ-ის საკალათბურთო გუნდმა სძლია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებს.

ამ გამარჯვებით თსსუ-ის გუნდი რანგით მაღალ „ა“ ლიგაში გადავიდა.

გვ 3



30 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის რიგით მეხუთე გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა.

გვ 2



9 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა.

გვ 2

## მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტების გამოსაშვები ღონისძიება - 2023

9 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა.

2022/2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა 22 ქვეყნის 247-მა სტუდენტმა დაასრულა.

კურსდამთავრებულებს სწავლის დამთავრება მიულოცეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა დავით თოფურიამ და ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ყარამან ფაღავამ. ღონისძიების დასასრულს, კურსდამთავრებულებმა საზეიმოდ დადეს ჰიპოკრატეს ფიცი.

## დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტების გამოსაშვები ღონისძიება - 2023

30 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის რიგით მეხუთე გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა. ეს დღე ყოველთვის ყველაზე ამაღელვებელია თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კალენდარში. პროგრამა ყოველწლიურად, კურსდამთავრებულებთან ერთად, გრანდიოზული ცერემონიალით აღნიშნავს სწავლის დასრულებას.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის 2023 წლის გამოსაშვებ ღონისძიებას თსსუ-ის თეატრალურმა დარბაზმა უმასპინძლა. კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულება მიულოცეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა, პროგრამის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ეკა ეკალაძემ, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის წარმომადგენლებმა: საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორმა, პროფესორმა არჩილ უნდილაშვილმა, ასისტენტ-დეკანმა, პროფესორმა გორდონ ჩერჩვორდმა და ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეულმა პროფესორმა, რაია ჩიორნიმ.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მადლობის ჯილდო გადაეცა პროფესორ გორდონ ჩერჩვორდს. კურსდამთავრებულთა გადაწყვეტილებით, სამაგალითო მასწავლებლის ნომინაციაში პრიზები გადაეცათ: ასოცირებულ პროფესორებს: ნანი ყავლაშვილს და ნონა ჯანიკაშვილს, მოწვეულ მასწავლებლებს: ნინო ქანთარიას და სალომე ძიძიგურს.

ცერემონიის დასასრულს კურსდამთავრებულებმა ჰიპოკრატეს ფიცი დადეს.

## მოწვეული პროფესორის, დოქტორ ოთარ ვადაჭკორიას (მიუნხენი, გერმანია) ლექციები თსსუ-ში

8 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში თსსუ-ის მოწვეულმა პროფესორმა, აკადემიურმა დოქტორმა სტომატოლოგიაში, დოქტორმა ოთარ ვადაჭკორიამ, რომელიც ცხოვრობს და კლინიკურ საქმიანობას გერმანიაში, მიუნხენში ეწევა, სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის წაიკითხა ორი საჯარო ლექცია თემაზე: „დენტალური იმპლანტაციის საფუძვლები (საბაზისო ცოდნა), ანატომია და კლინიკური მიდგომები“ (I და II ნაწილი).

ლექციას, გარდა სტუდენტებისა, ესწრებოდნენ რეზიდენტები, ექიმები და თსსუ-ის აკადემიური პერსონალი.

„მინდოდა, სტუდენტებისთვის გამეცნო დარგის უახლესი მიღწევები, გერმანიაში ამ მიმართულებით დანერგილი მკურნალობის მეთოდები და გამეზიარებინა საკუთარი გამოცდილება. ვფიქრობ, ლექციებმა წარმატებით ჩაიარა, ვინაიდან ინტერესი მაღალი იყო და ეს მახარებს, სტუდენტებმა ძალიან საინტერესო შეკითხვები დასვეს.

გულწრფელად გეტყვით, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორების უკვე ტრადიციად ქცეული მსგავსი აქტივობა, რაც ჩვენი ხედვებისა და გამოცდილების მომავალი ექიმებისთვის გაცნობასა და გაზიარებას გულისხმობს, ორმხრივი სარგებლის მომტანია. ერთი მხრივ, სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მედიცინის სხვადასხვა დარგში დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციის უახლეს მეთოდებსა და ამ პროცესში გამოყენებულ თანამედროვე საშუალებებს გაეცნონ. მეორე მხრივ კი, მერწმუნეთ, ეს ჩვენთვისაც უდიდესი სტიმული და მუდმივად „ფორმაში ყოფნის“ პირობაცაა. აკადემიურ პროცესში ჩართულობა ნებისმიერ, თუნდაც მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექიმს, დარგის უახლესი მიღწევების ცოდნასა და ღრმა ანალიზს ავალდებულებს.

ბედნიერი ვარ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორად ვარ არჩეული და მაქვს პატივი, ყველა დაინტერესებულ პირს ჩემი ხედვა და გამოცდილება გავუზიარო“, – აღნიშნა პროფესორმა ოთარ ვადაჭკორიამ.

## სასამართლო ექიმთა VII სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

24 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა სასამართლო ექიმთა VII სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც ორგანიზებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და საქართველოს სასამართლო ექიმთა ასოციაციის მიერ.

კონფერენციის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს ექიმთა ასოციაციის წარმომადგენლები.

კონფერენციაზე განიხილეს სასამართლო მედიცინის, სასამართლო სამედიცინო ანთროპოლოგიის, სასამართლო ჰისტოლოგიის, სასამართლო ტოქსიკოლოგიისა და სასამართლო ბიოლოგიური ექსპერტიზის აქტუალური საკითხები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა სასამართლო ექიმმა და ექსპერტმა, რომელთაც კონფერენციის დასასრულს გადაეცათ სერტიფიკატები.

## პროფესორ არისტო ვოჟდანის ვიზიტი თსსუ-ში

22 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ კალიფორნიის ლომა ლინდას უნივერსიტეტის კლინიკური პროფესორი არისტო ვოჟდანი და ამავე უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგი ჟორჟეტ ვოჟდანი.

სტუმრებს შეხვდნენ: ვიცე-რექტორი, პროფესორი სოფიო ბახტაძე; იმუნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი; ასოცირებული პროფესორები – ნინო ქიქოძე და ნონა ჯანიკაშვილი; ვლადიმერ ბახუტაშვილის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ხარებავა; იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი მალხაზ გეთია; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასისტენტ-პროფესორი თინათინ კილასონია; რექტორის აპარატის უფროსი ირინა კაპეტივაძე.

სტუმრებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს უნივერსიტეტის კვლევით ბაზებზე მიმდინარე სამეცნიერო აქტივობების მიმართულებით.

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მადლობის სიგელი გადაეცა

14 ივნისს, უანგარო დონორის მსოფლიო დღის ფარგლებში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხორციელდა უანგარო, რეგულარული დონორებისა და მხარდამჭერი ორგანიზაციების დაჯილდოების ღონისძიება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და თსსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას სისხლის უანგარო დონაციის აქციების აქტიური მხარდაჭერისა და ორგანიზებისთვის, მადლობის სიგელები გადაეცათ. სიგელებით, ასევე, დაჯილდოვდნენ აქტიური დონორები, თსსუ-ის სტუდენტები უჩა ბიბიჩაძე და ეკატერინე გუშარაშვილი.

## Horizon Europe-ის ეროვნული ოფისის საინფორმაციო შეხვედრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

13 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში Horizon Europe-ის ეროვნული ოფისის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

მისასალმებელი სიტყვით წარდგნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და თსსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი სოფიო ბახტაძე, რომლებმაც თსსუ-ში განხორციელებული სამეცნიერო აქტივობების შესახებ ისაუბრეს.

აუდიტორიას მიმართეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ზაზა მარუაშვილმა და Horizon Europe-ის საქართველოს ეროვნული ოფისის ხელმძღვანელმა, ნინო ინასარიძემ. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს Horizon Europe-ის ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო ღონისძიებები. სამუშაო შეხვედრას უძღვებოდა თსსუ-ის Horizon Europe-ის საგრანტო ოფისის კოორდინატორი თამარ გვასალია.

შეხვედრაზე მოისმინეს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა – Horizon Europe-ის ზოგადი მიმოხილვა, მონაწილეებმა ისაუბრეს როგორც სამეცნიერო არეალის გაძლიერების პოტენციალისა და Horizon Europe-ის საგრანტო კონკურსების, ისე დაგეგმილი ტრენინგების შესახებ.

## ლისაბონის (პორტუგალია) სტომატოლოგიური სკოლის პროფესორის, დოქტორ რაფაელ ბიოლჩის, ლექცია

13 ივნისს, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის, ამერიკული კომპანია Ultradent Products Inc. საქართველოში წარმომადგენლობის, სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევითი ცენტრი „უნიდენტის“ ორგანიზებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა სტომატოლოგიაში საერთაშორისო სპიკერის, ლისაბონის (პორტუგალია) სტომატოლოგიური სკოლის პროფესორის, დოქტორ რაფაელ ბიოლჩის ლექცია – „ფოტოპოლიმერიზაციის გავლენა და ფოტოინიციატორების მოქმედების თავისებურებები კომპოზიტებისა და კბილთა მათეთრებელი სისტემების კლინიკური გამოყენებისას“.

ლექციას ესწრებოდნენ თანამედროვე რესტავრაციული სტომატოლოგიის მიღწევებით და ამ პროცესში გამოყენებული საშუალებებით და მოწყობილობებით დაინტერესებული სტომატოლოგები. აუდიტორიის ინტერესი მაღალი იყო იმიტომაც, რომ დოქტორი ბიოლჩი კბილთა გათეთრების პრობლემებსაც შეეხო, რაც დღეს პრაქტიკულ სტომატოლოგიაში ერთ-ერთი აქტუალური და მაღალმოთხოვნადი პროცედურაა. მოწვეულ სტუმარს, Ultradent Products Inc. საქართველოში წარმომადგენლობას მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე. ლექციას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და დიპლომირებული სტომატოლოგის ქართული და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები.

## სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის 66-ე კონგრესზე

21-26 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე მივლინებით იმყოფებოდა ამსტერდამში (ნიდერლანდები), სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის (ICD) 66-ე კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. პროფესორი მარინა მამალაძე ამ ორგანიზაციის წევრი 2013 წლიდან გახლავთ, 2020 წელს კი ის კავკასიის რეგიონზე პასუხისმგებელ ვიცე-რეგენტად აირჩიეს.

კონგრესს, ასევე, ესწრებოდნენ ICD-ს წევრები, თსსუ-ის აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები. მათ შორის ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე ბეშკენაძე და მოწვეული მასწავლებელი თეა ჯანჯალაშვილი, თსსუ-ის დელეგაცია სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის წევრებად, წელს საზეიმო ცერემონიალზე კოლეგიის ერთ-ერთი რეგენტის, სერგეი რადლინსკის წარდგინებით იმყოფებოდა.

ICD-ის კონგრესის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სამეცნიერო სესიას, რომლის ძირითად თემას წელს კბილებისა და ყბა-სახის მიდამოს ტრავმები წარმოადგენდა.

„ჩვენთვის ეს თემატიკა საინტერესო თუნდაც იმიტომ იყო, რომ გარდა კბილთა ტრავმების მართვის პრინციპების ჩვენს სილაბუსებში ასახვისა, მე და ასოცირებული პროფესორი ნათია ნიჟარაძე, დაავადებათა მართვის ეროვნული პროტოკოლის „კბილებისა და მათი სტრუქტურების ტრავმული დაზიანებების“ ავტორებიც ვართ, ამიტომ თანამედროვე მიდგომებისა და ამ დაზიანებათა სიხშირის შესახებ ინფორმაცია ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო. მით უფრო, რომ აღნიშნული საკითხები ნიდერლანდების უნივერსიტეტებისა და წამყვანი საუნივერსიტეტო კლინიკების პროფესორებმა განიხილეს“, – აღნიშნა პროფესორმა მარინა მამალაძემ.

კონგრესის სამეცნიერო სესიას წინ უსწრებდა ICD ევროპის სექციის რეგენტთა ბორდის შეხვედრა. ბორდის გენერალურმა მდივანმა, პროფესორმა მაურო ლაბანკამ ევროპული სექციის განყოფილებების გაფართოების შესახებ ისაუბრა, რაც კავკასიის რეგიონს სერიოზულ პერსპექტივას აძლევს.

## თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა ახალი აპარატურით აღიჭურვა

29 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას ეწვია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამარ ბარკალაია, სოციალური დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ კურტანიძე, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორი მერი მაღლაფერიძე, აგრეთვე, ჩეხეთის რესპუბლიკის დელეგაცია საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩის, პეტრ მიკისკას და ჩეხეთის ორგანიზაცია „კარიტასის“ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის, ეკატერინე მესხრიკაძის, შემადგენლობით.

აღნიშნული ვიზიტის მიზანი იყო კლინიკის ბავშვთა ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის განყოფილებისთვის სამედიცინო აღჭურვილობის გადაცემა. ამ ღონისძიებით ჩეხეთის ორგანიზაცია „კარიტასმა“, ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, ბავშვთა ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის სერვისის საჭიროებისთვის სამედიცინო აპარატურის შესყიდვის ფინალური ეტაპი დაასრულა.

სტუმრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა სოფიო ბახტაძემ, თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ლია ძიძიგურმა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილემ, ალექსანდრე ბუაჩიძემ, უმასპინძლეს.

კლინიკის ახალი კორპუსის მშენებლობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა დააფინანსა, ხოლო ჩეხეთის მხარე, პროექტის ფარგლებში ახორციელებს ცენტრის აღჭურვას მაღალი სტანდარტების სამედიცინო აპარატურითა და ინვენტარით.

## საერთაშორისო კონფერენცია თსსუ-ის საპატიო დოქტორის, იცხაკ ვინოგრადის ხსოვნას მიეძღვნა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და საქართველოს ბავშვთა ქირურგთა ასოციაციის ორგანიზებით 3 ივნისს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ბავშვთა ქირურგიაში, რომელიც გამოჩენილი ბავშვთა ქირურგის, თსსუ-ის საპატიო დოქტორის, პროფესორ იცხაკ ვინოგრადის ხსოვნას მიეძღვნა.

კონფერენციის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე მისასალმებელი სიტყვით წარდგნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი გიორგი ამილახვარი, ისრაელის ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება ქალბატონი ჰადას მეიცადი, თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, პროფესორი მიხა რაბაუ (ისრაელი) და პროფესორი შლომ კონსტანტინი (ისრაელი).

კონფერენციაში მონაწილეობდნენ საგანგებოდ ამ დღისთვის მოწვეული მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტები: პროფესორი შლომ კონსტანტინი (ბავშვთა და მოზრდილთა ნეიროქირურგია, ისრაელი); პროფესორი ამულია საქსენა (ევროპის ბავშვთა ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, დიდი ბრიტანეთი); პროფესორი რან შტეინბერგი (რამბამის სამედიცინო ცენტრი, ბავშვთა ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ისრაელი); პროფესორი ჯოსეფ ბენ არი (რამბამის სამედიცინო ცენტრი, რეანიმაციული სამსახურის უფროსი, ისრაელი); ამით ლეჰავი (რამბამის სამედიცინო ცენტრი, ანესთეზიოლოგი, ისრაელი); იუჯინ მანევიჩი (ბავშვთა უროლოგიური ასოციაციის გენერალური მდივანი, აშშ); დებორა ლოეფი (ჩიკაგოს უნივერსიტეტი, აშშ); მიხა რაბაუ (ისრაელი); ვადიმ კაპულერი (ასუტას სამედიცინო ცენტრი, ისრაელი).



## გამარჯობა, ქვირფასო კურსდამთავრებულებო!

კიდევ ერთი სასწავლო წელი დასრულ- და და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პირისპირ დგახართ თქვენ, ვინც დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამები დაასრულეთ; ვინც ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ან საექთნო საქმის ბაკალავრები გახდით. მინდა, გულითადად მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც ჩვენი ერთობლივი შრომით და მცდელობით იქცა რეალობად! ჩვენი ყოველდღიური შრომა მხოლოდ იმდენად არის და იქნება ნაყოფიერი, რამდენადაც თქვენ შედგებით პროფესიონალებად და თქვენი მიღწევებით წარადგენთ საკუთარ Alma-Mater-ს როგორც ყველაზე ღირსეული და მაღალი დონის განათლების კერას, – როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

პირველი სიტყვა, რომლითაც მოგმართეთ „გამარჯობა" იყო. სიტყვა, რომლითაც ქართველები ერთმანეთს ვეგებებით ყოველდღიურად. ამით გამარჯვებას ვუსურვებთ ერთმანეთს და ეს არაჩვეულებრივია! სულხან-საბას თავის „სიტყვის კონაში" ასე აქვს განმარტებული: გამარჯვება „საქმის მარჯუედ მოსვლა" არისო; გამმარჯვე კი – გამარჯვების ხელის მომმართავი. მინდა, თქვენი მომავალი საქმიანობა გამარჯვებული და „მარჯვედ" წარმართული იყოს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კი – თქვენი პირველი „გამმარჯვე" პროფესიული ცხოვრების რთულ და საინტერესო გზაზე!

თქვენ ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადიხართ და მინდა გითხრათ, რომ თქვენი თანამდგომი და დასაყრდენი, თქვენთვის საიმედო და სასიქადულო თქვენი მშობლიური თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იქნება. ეს ლიტონი სიტყვები არ არის – დროსა და სივრცეში გამოცდილი და ათასობით ექიმისთვის, სტომატოლოგისთვის, ფარმაცევტისთვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტისთვის, რეაბილიტოლოგისთვის, ექთნისა და ბებიაქალისთვის საქმით გამოცდილი სიტყვებია.

ჩვენ ერთად გავატარეთ ექვსი, ზოგიერთმა – ხუთი ან ოთხი წელი, ერთად ვუმკლავდებოდით სირთულეებს. თქვენ ნაბიჯ-ნაბიჯ შედიოდით ძალიან საჭირო და ღირსეული პროფესიების ურთულეს წიაღში. ვიცი, იქნებოდა იმედიანი და ზოგჯერ ეჭვით დაღდასმული დღეებიც. თქვენ, ვინც დღეს კურსდამთავრებულთა ღონისძიებას ესწრებით, ყველა ეს სირთულე გადალახეთ და, უკვე კოლეგები, დგახართ ჩვენ წინაშე!

თქვენ ახლა იწყებთ პროფესიულ ცხოვრებას და მინდა იცოდეთ, რომ თქვენი ყოველდღიურობა ისევ დიდი შრომით იქნება აღბეჭდილი: შეგხვდებათ სირთულეებიც, გექნებათ შეკითხვებიც, ზოგჯერ ეჭვიც! – ეს პროფესიონალის ყოველდღიური ცხოვრებაა. მაგრამ თქვენ გეყოლებათ დიდი შემწე მუდმივ თანმხლებად – თქვენი Alma-Mater-ი. ეს ყველა კურსდამთავრებულს გვაქვს გამოცდილი და რა ბედნიერებაა, რომ ათეული წლების შემდეგაც ასეთი ხალასი განცდით და სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ: „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ჩემი უნივერსიტეტი!" დიახ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩემი უნივერსიტეტია, წლების წინ მეც აქ დავასრულე სწავლა და ამ უნივერსიტეტმა ჩემი მომავალი ცხოვრების სტილი, ხარისხი და შინაარსი განსაზღვრა.

მიხარია, რომ დღითიდღე იზრდება შესაძლებლობები და მეტი და მეტი თანადგომის გამოცხადება შეგვიძლია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის. მცირე ჩამონათვალიც კი საკმარისია, რომ თსსუ-ის წარმატების მასშტაბზე ვისაუბროთ:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მოქმედმა აკრედიტაციის საბჭომ, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნების საფუძველზე, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების და პროცედურების მიხედვით, ყველა სტანდარტში უმაღლესი შეფასებით, საერთაშორისო აკრედიტაცია მიანიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსის ქართულ, ინგლისურ, რუსულენოვან პროგრამებს და დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას. თქვენ იცით, რომ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და უცხოეთში მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისიის (ECFMC- Educational Commission For Foreign Medical Graduates) ერთობლივი გადაწყვეტილებით, 2024 წლიდან, ევროატლანტიკურ სივრცეში აღიარებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის მხოლოდ ის პროგრამები, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია.

ამრიგად, დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე, რომლის კურსდამთავრებულებიც თქვენ ხართ, ხორციელდება მხოლოდ უმაღლესი შეფასების მქონე, აკრედიტებული ერთსაფეხურიანი, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

თქვენ ხართ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, კურსდამთავრებულები საქართველოში პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა, რომელმაც IAF და IAS-ის აკრედიტაციის მქონე ISO-ს 9001:2015 – ხარისხის მართვის შესაბამისობის სერტიფიკატი მიიღო. ეს დასტურია იმისა, რომ თსსუ-ის საქმიანობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს საგანმანათლებლო სივრცეში. ISO-ს 9001:2015 სერტიფიკატი, როგორც ავტორიტეტული საერთაშორისო სტანდარტი, გულისხმობს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესი მსოფლიოში ფართოდ აღიარებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მეშვეობით მიმდინარეობს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო და საქართველოს საკანონმდებლო ნორმებს.

თსსუ-ში Horizon Europe-ის საგრანტო ოფისი გაიხსნა, რომელიც ევროკავშირის საგრანტო კონკურსებში საქართველოს სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელთა წარმატებულ მონაწილეობას შეუწყობს ხელს.

თქვენი Alma Mater-ი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრია, რაც ნიშნავს მის აქტიურ როლს ამ საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციობაში, განვითარების მიმართულებების განსაზღვრასა და მათ რეალიზებაში, თავისუფალი და მჭიდრო სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტების ჩამოყალიბებაში უცხოეთის სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებთან.

დიდი აღიარებაა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაფუძნებულია სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) წარმომადგენლობა – საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი, რაც არა მხოლოდ თსსუ-ის, არამედ ჩვენი ქვეყნის წარმატებაცაა: საქართველო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ცენტრი გახდა. ეს არაერთხელ იქნება თქვენი პროფესიონალიზმის მასაზრდოებელი, არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მძლავრი კლინიკური ბაზები (3 ჰოსპიტალი და სტომატოლოგიური კლინიკები), სადაც თქვენ არაერთი კლინიკური დისციპლინა შეისწავლეთ, მუდმივად ზრუნავს კურსდამთავრებულებზე. ბევრი თქვენგანი უკვე მუშაობს კიდეც ამ და საქართველოს სხვა კლინიკებში. ჩვენ თვალს ვადევნებთ თქვენს წინსვლას პროფესიულ სივრცეში და გვეიმედება, რომ ყოველი მომდევნო დღე კიდევ უფრო წარმატებული იქნება ჩვენი კურსდამთავრებულებისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ეროვნული და WFME (სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის) სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო განათლების ტრადიციულად გამორჩეული ცენტრია როგორც საქართველოში, ისე – საერთაშორისო არენაზე; ამიტომ ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა სწავლის ხარისხის მუდმივი სრულყოფა და უნივერსიტეტის მაღალი რეპუტაციის შენარჩუნება. ყველა იმ წარმატებულ ნაბიჯთან ერთად, რომელზეც გესაუბრეთ, ჩვენი წარმატებულობის და მაღალი კვალიფიკაციის დასტური თითოეული თქვენგანი უნდა გახდეს. თქვენ და თქვენთან ერთად მსოფლიოს 81 ქვეყნის 3400-ზე მეტი ახალგაზრდა თსსუ-ის დესპანები იქნებით პროფესიონალურ სამყაროში.

ჩვენი დასაყრდენი ჩვენი კურსდამთავრებულები არიან. თქვენ არ გჭირდებათ იმის ახსნა, თუ რამდენი კურსდამთავრებული აგრძელებს თსსუ-სთან თანამშრომლობას, სტუდენტებზე ზრუნვას, რამდენი სახელობითი სტიპენდია არსებობს მათგან დანიშნული. იმედი მაქვს, წინა თაობების ღირსეულ საქმეებს თქვენი ღირსეული საქმეებიც შეემატება და ჩვენ, ყველა ერთად, შევქმნით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხვალინდელ დღეს – საამაყოს და სასურველს! თქვენ უნდა იყოთ გამარჯვებულები და თქვენი მომავალი თაობის გამმარჯვეები! მხოლოდ ასე იქმნება ღირსეული და წარმატებული ხვალინდელი დღე!

გამარჯვებით გევლოთ, კოლეგებო!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მუდამ თქვენ გვერდით იგულეთ!

**პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი**

# „სტუდენტური ფესტივალი – 2023"



საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, „სტუდენტური ფესტივალი – 2023" გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, სპორტის 16 სახეობაში ტურნირები და ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების ტურები (ქართული ხალხური სიმღერა, ქართული ცეკვა, საესტრადო სიმღერა, თანამედროვე ცეკვა, ბენდების კონკურსი) ჩატარდა. ფესტივალში მონაწილეობა საქართველოში მოქმედი 30-ზე მეტი სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა მიიღეს.

თსსუ-ის სტუდენტების მიერ მოპოვებული ინდივიდუალური სპორტული მიღწევებია:

მაგიდის ჩოგბურთში ოქროს მედალი გიორგი ლიპარტიას ერგო; ჭადრაკში გამართულ შეჯიბრზე მეორე ადგილი გოგონებს შორის სალომე ხუცურაულს ხვდა წილად; შაშში მეორე ადგილი გოგონებში – ანა მაისურაძემ, ვაჟებში – ალექსანდრე ჩიქოვანმა, მესამე ადგილი კი მამუკა სიდამონიძემ დაიკავა. ძიუდოში 73 კგ. წონით კატეგორიაში ვერცხლის მედლის მფლობელი თორნიკე გრიგალაშვილი გახდა.

სპორტის გუნდურ სახეობებში კი თსსუ-ის ჩოგბურთის, ფრენბურთისა და კარტინგის გუნდები – ვერცხლის მედლების, ხოლო კალათბურთის (3X3) გუნდი ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ.

ტრადიციულად, პირველობა არავის დაუთმო თსსუ-ის კულტურის ცენტრის სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებულმა ანსამბლმა „ქართულმა ფოლკლორმა", რომელმაც პირველი ადგილი (საქართველოს ტექნიკურ უნივერსისტეტთან ერთად) ორ ნომინაციაში – საუკეთესო ქართულ ცეკვასა და საუკეთესო ხალხურ სიმღერაში მოიპოვა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა – სალომე ხუჯაძემ პირველი ადგილი მოიპოვა საესტრადო (სოლო) სიმღერაში, ასევე, პირველი ადგილის მფლობელი თანამედროვე ცეკვებში გახდა თსსუ-ის თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვის ანსამბლი – „ვეგა", ხოლო ბენდების კონკურსში თსსუ-ს მესამე საპრიზო ადგილი ხვდა წილად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ფესტივალის ჟიურისა და ორგანიზატორების მიერ დასახელდნენ როგორც ყველაზე ორგანიზებული გულშემატკივრები.





საბოლოოდ, სტუდენტურ ფესტივალზე მოპოვებული გამარჯვებების მიხედვით, ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, საქართველოს ტექნიკურმა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტებმა. ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად სწორედ აღნიშნული სამი უმაღლესი სასწავლებელი დასახელდა.

# თსსუ-ის საკალათბურთო გუნდი სტუდენტური ლიგის გამარჯვებულია




თსსუ-ის საკალათბურთო გუნდმა (მწვრთნელები: ლაშა ელბაქიძე და ზურა მაისურაძე) ნახევარფინალური სერია მოუგო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გუნდს და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ფინალში კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდის მეტოქე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყო. ფინალურ სერიაში, რომელიც ორ გამარჯვებამდე გრძელდებოდა, თსსუ-ის საკალათბურთო გუნდმა სძლია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებს.



ამ გამარჯვებით თსსუ-ის გუნდი რანგით მაღალ „ა" ლიგაში გადავიდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს თსსუ-ის საკალათბურთო გუნდს ამ დიდ წარმატებას.



# წერილები Alma Mater-ს



პროფესიის არჩევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, გარდამტეხი მომენტია მთელი ცხოვრების მანძილზე. ინტერესთა სფეროების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე კი, ამ გადაწყვეტილების მისაღებად საკმაოდ დიდი დრო და ფიქრი დამჭირდა. საბოლოოდ, სპეციალობის არჩევისას მთავარი მამოძრავებელი ბავშვობის ოცნება, შინაგანი სწრაფვა და ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღირებულება – ჰუმანიზმი, – გახდა.

2017 წლის 18 სექტემბერს დიდი მოლოდინითა და შემართებით დავიწყე სწავლა თსსუ-ში. თავიდანვე ვიაზრებდი, თუ რა სირთულეების წინაშე შეიძლებოდა დავმდგარიყავი. ვიცოდი, რომ წინ უამრავი უძილო ღამე, სტრესული სიტუაცია და დაბრკოლება მელოდა. რეალობა ისეთი აღმოჩნდა, როგორიც წარმომედგინა.

დღემდე მახსოვს პირველ დღეს პირველსემესტრელთა მისასალმებელ საზეიმო ღონისძიებაზე ჩემი მრავალფეროვანი განცდები – მღელვარება, სიხარული, შიში, იმედი და სიამაყეც – განვლილი კონკურსის, სწავლის წარმატებული შედეგის და საბოლოოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში უკვე სტუდენტის სტატუსით დგომის გამო.

სტუდენტობის განმავლობაში მუდმივად ენაცვლებოდა ერთმანეთს მიღწევები და სირთულეები, დადებითი და უარყოფითი ემოციები, რაც მცვლიდა და გამოცდილებით მამდიდრებდა; მამზადებდა ძალიან სერიოზული შედეგის მისაღებად. უამრავ განსხვავებულ ადამიანთან მიწევდა ურთიერთობა... ვგრძნობდი, რომ ყოველდღიურად იცვლებოდა რაღაც და ვცდილობდი ადაპტაციას ახალ გარემოში, რაშიც ძალიან დამეხმარნენ აქ გაცნობილი მეგობრები და ის ლექტორები, რომლებიც არა მარტო პროფესიული კუთხით გვავითარებდნენ, არამედ ჩვენს ღირსეულ ექიმებად აღზრდისთვის ზრუნავდნენ თავიანთი მეგობრული, გულისხმიერი დამოკიდებულებით.

თსსუ-ის სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარჩინებულად სწავლობს და შემდეგ, ასევე, წარმატებულად მუშაობს, ვფიქრობ, ეს ჩვენი Alma-Mater-ის დამსახურებაა, რადგან ის არაჩვეულებრივი „ბაზაა" მომავალი პერსპექტიული კარიერისთვის.

ვისურვებდი, რომ საქართველოში იმდენად გაიზარდოს საკუთარი თავის რეალიზაციის შესაძლებლობა, რომ არასდროს განელდეს პირვანდელი მოტივაცია პროფესიონალებში, სრულად იყოს შესაძლებელი ხორცშესხმა იმ იდეებისა, რის გამოც აბარებენ უმაღლეს სასწავლებლებში და მომავლის შიშის გამო, არ მოხდეს „ტვინების გადინება" ქვეყნიდან.

დაბოლოს, მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ლექტორსა და სემინორს, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ სტუდენტების პიროვნული თუ პროფესიული განვითარებისთვის და ქმნიან მათზე მორგებულ სასწავლო გარემოს. ასეთ ღირსეულ, საკუთარი საქმის მცოდნე ადამიანებთან ურთიერთობა დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის და ვიმედოვნებ, მომავალშიც გაგრძელდება ჩვენი თანამშრომლობა. თსსუ-ს კი წარმატებას ვუსურვებ მედიკოსების აღზრდაში.

**მარიამ ზარდიაშვილი,**
**მედიცინის ფაკულტეტის**
**კურსდამთავრებული**

---

ჩემს ცხოვრებაში სტომატოლოგიისადმი ინტერესი და სიყვარული შეუცვლელი იყო, ამიტომ არჩევანი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე შევაჩერე, რადგან ოჯახის მესამე თაობის წარმომადგენელი ვარ, ვინც აქ მიიღო განათლება და წარმატებულად გააგრძელა პროფესიული საქმიანობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტრადიციები, გამოცდილება, ავტორიტეტი და პოტენცია წარმატებულად განვითარების საშუალებას გვაძლევს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა თავდაუზოგავ შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ხუთი წლის განმავლობაში, თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად, გამოვიმუშავე საჭირო უნარ-ჩვევები, რაც ჩემი პედაგოგების დამსახურებაა. ამ დროის მანძილზე აქტიურად ვესწრებოდი როგორც ქართველი, ისე უცხოელი პროფესორების ლექციებსა



და კონფერენციებს. მონაწილეობა მივიღე JAT (JULES ALLEMAND TROPHY) კბილთა მხატვრული რესტავრაციის სტუდენტურ ჩემპიონატში. ასევე, მომეცა შესაძლებლობა ვყოფილიყავი ტუტორი და უმცროსსემესტრელებისთვის ამემაღლებინა მოტივაცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უმაღლესი სამედიცინო განათლების მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული კერაა. მიხარია და ვამაყობ, რომ ამ დიდი ოჯახის წევრი ვარ, რომლისთვისაც პრიორიტეტულია პიროვნული განვითარება და პროფესიონალიზმი.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი თსსუ-ის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორ ნანა ყიფიანს, პროფესორ მარინა მამალაძეს, პროფესორ სამსონ მღებრიშვილს, პროფესორ ოთარ ბრეგაძეს, ასოცირებულ პროფესორებს: ნინო აბაშიძეს, ნინო კორსანტიას, ნათია ნიჟარაძეს, ეკატერინე ბეშკენაძეს; მოწვეულ მასწავლებელს ნინო ხვედელიანს, აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელს! ასევე, მადლობა ქალბატონ მარიკა სადაღაშვილს. ჩვენ მადლიერები ვართ და სულ გვემახსოვრება თქვენი პროფესიონალური და გულისხმიერი დამოკიდებულება.

**ქეთევან ქსოვრელი,**
**სტომატოლოგიის**
**ფაკულტეტის**
**კურსდამთავრებული**

---

ექვსი განვლილი წელი მაკავშირებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან. კარგად მახსოვს ჩემი სიხარული, მღელვარება და დაბნეულობა, როდესაც ამ საოცარ გარემოში პირველად მოვხვდი. უნივერსიტეტმა სრულად გაამართლა ჩემი იმედი და, უფრო მეტიც, იმ შესაძლებლობებმა და გამოწვევებმა, რომელთა წინაშეც დავდექი, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ ხნის მანძილზე გავიარე უაღრესად საინტერესო სასწავლო დისციპლინები, შევიძინე საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები იმისთვის, რომ თავდაჯერებულად დავიწყო მუშაობა სამედიცინო სფეროში.



უნივერსიტეტში სწავლა მარტივი არ ყოფილა. ეს იყო უძილო ღამეების, ნებისყოფის გამოცდის, დაუღალავი სწავლისა და შრომის პერიოდი, მაგრამ თავიდანვე ყველაფერი გაცნობიერებული მქონდა. ექიმის პროფესია ემსახურება ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას, მისი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და, რა თქმა უნდა, უდიდესი ძალისხმევაა საჭირო სრულყოფილი ცოდნის შესაძენად.

თსსუ-ში მე დამხვდა მოქნილი სასწავლო სისტემა და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება. აქ გატარებულმა წლებმა, სამედიცინო განათლებასთან ერთად, დამაკავშირა ბევრ საინტერესო ადამიანთან, შემძინა უამრავი მეგობარი. ამ ეტაპის დასრულებას დიდი მღელვარებაც ახლავს თან, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ნებისმიერი ჩემი პროფესიული წარმატების საფუძველი, სწორედ თსსუ იქნება. მე დავრჩები ამ გუნდის წევრად და ვეცდები, წვლილი შევიტანო მის წარმატებებში. მინდა, მადლობა გადავუხადო ლექტორ-მასწავლებლებს საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისთვის, უნივერსიტეტს კი ვუსურვო კიდევ უფრო დიდი მიღწევები. ასევე, მინდა ვურჩიო სტუდენტებს, იშრომონ, მოინდომონ და ყველაფერი გამოუვათ. აქ შრომა და მონდომება სათანადოდ ფასდება. მჯერა, აქ გატარებული ექვსი წელი წარმატებული კარიერისა და მომავლის საწინდარია.

**დავით ოქროპირიძე,**
**მედიცინის ფაკულტეტის**
**კურსდამთავრებული**

---



თითოეული ადამიანის ცხოვრებაში დგება მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მომენტი, როცა უწევს გადაწყვეტილების მიღება სამომავლო კარიერასთან დაკავშირებით. მედიცინა ყოველთვის საინტერესო გახლდათ ჩემთვის, ამიტომ სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე, რომ მომავალი სწორედ ამ სფეროსთან დამეკავშირებინა და მივიჩნიე, რომ ადგილი, სადაც ოცნებების რეალობად ქცევას შევძლებდი, სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იქნებოდა.

დღეს, როგორც კურსდამთავრებულმა, შემიძლია გულწრფელად ვთქვა, რომ, საბედნიეროდ, ჩემი მოლოდინი გამართლდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა შესაძლებლობა მოგვცა პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაგვედგა პროფესიონალად ჩამოყალიბების გრძელ და რთულ გზაზე, გაგვეღრმავებინა ცოდნა, მიგვეღო გამოცდილება და შეგვექმნა საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია.

მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო თითოეულ ლექტორს წლების განმავლობაში ცოდნისა და გამოცდილების უშურველად გაზიარებისთვის. ისინი დიდ სტიმულს მაძლევდნენ, რომ მიმეღო სრულფასოვანი განათლება; აღსანიშნავია, რომ თსსუ-ში არის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიები, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, დაეუფლონ პრაქტიკული საქმიანობის მეტად მნიშვნელოვან და უახლეს მეთოდებს.

პროფესიის სირთულიდან გამომდინარე, ცხადია, აკადემიური პროცესი საკმაოდ დატვირთული იყო, მაგრამ, ამავდროულად, – ძალიან საინტერესო. როდესაც გიყვარს შენი საქმე და ხარ მოტივირებული, არაფერია შეუძლებელი. განსაკუთრებით სასიამოვნო განცდაა, როდესაც შრომა გიფასდება. ეს პირველად განვიცადე, როცა პრეზიდენტის სტიპენდია, შემდეგ უკვე – თამაზ ბექაიას სახელობის საგანმანათლებლო ფონდის სტიპენდია მოვიპოვე. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა, რომ ამეხდინა ჩემი უდიდესი ოცნება და მესწავლა საზღვარგარეთ Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამით.

თსსუ-ში გავიცანი უამრავი საინტერესო ადამიანი, შევიძინე საუკეთესო მეგობრები, რომლებთან ერთადაც უამრავი დაბრკოლება გადავლახე. ეს სოციუმი და გარემო ჩემთვის მეორე ოჯახად იქცა; აქედან გამომდინარე, მათთან ერთად განვლილი წლები საუკეთესო მოგონებად დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

პირველსემესტრელებს მივულოცავ ჩვენს დიდ ოჯახში შემობრძანებას და ვურჩევ, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ეს დრო, რათა მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზება და არ დაავიწყდეთ, რომ „თავიდან ყველა საიდანღაც იწყებს", სწორედ აქ უნდა გადადგან ის პირველი ნაბიჯები, რაზეც შემდგომში დაშენდება მათი მომავალი; მონდომებისა და შრომისმოყვარეობის ხარჯზე აქ ყველაფრის მიღწევაა შესაძლებელი...

**გიორგი მგალობლიშვილი,**
**ფარმაციის ფაკულტეტის**
**კურსდამთავრებული**

---

სტუდენტობა, მართლაც რომ, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ადამიანის ცხოვრებაში – პერიოდი, რომელიც გეხმარება საკუთარი თავი უკეთ შეიცნო, დარწმუნდე შენი მიზნის მართებულობაში, დაიმკვიდრო ადგილი სოციუმში და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა პროფესიული განვითარების გზაზე.

სამედიცინო სფერო ბავშვობიდანვე იქცევდა ჩემს ყურადღებას; ალბათ, არაფერია იმაზე უკეთესი, როცა აცნობიერებ, რომ შენივე ცოდნით ადამიანებისთვის იმედი, მრჩეველი და სწორი გზის მიმთითებელი ხარ. სწორედ ამ საქმეს ემსახურება სამედიცინო სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი – ფარმაცია. ამიტომაც და სკოლის მოსწავლეობაში ქიმიისადმი დიდი ინტერესის გამოც, ფარმაცევტის პროფესია პრიორიტეტული იყო ჩემთვის.

მე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ავირჩიე, რათა ჩემი მიზნები რეალობად მექცია და აწ უკვე განვლილმა ოთხმა წელიწადმა დამანახა, რომ არ შევმცდარვარ. უნივერსიტეტის საშუალებით არა მარტო დავეუფლე სასურველ პროფესიას, არამედ შევიძინე კარგი მეგობრები, რომლებიც განსაკუთრებულები არიან თავიანთი ინდივიდუალობით, სულიერებით, თანადგომის უნარით და იმ პოზიტიური დამოკიდებულებებით, რომლის საშუალებითაც ვუხალისებდით და ვუფერადებთ ერთმანეთს ყოველდღიურობას.



თსსუ-ში სწავლის პერიოდი მარტივი ნამდვილად არ იყო – დაუღალავი შრომაა საჭირო იმისთვის, რომ სასურველ შედეგს, დასახულ მიზანს მიაღწიო; არ დამავიწყდება, თუ როგორი დაძაბულობა ახლდა პირველ ფინალურ გამოცდას, მაგრამ ხშირად შედეგი მოლოდინს აჭარბებს... როცა ცდილობ შენი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენო, აუცილებლად მიაღწევ შედეგს. წარჩინებული სტუდენტის სტატუსი კი სიამაყის შეგრძნებასთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაა.

სასიხარულო იყო სწავლის პერიოდში მიღებული სტიპენდიები, რაც სტუდენტს მეტად მოტივირებულს და შრომისუნარიანს ხდის – რა უნდა განიჭებდეს იმაზე დიდ სიხარულს, როცა ხედავ, რომ მონდომება და საქმის მიმართ პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულება გიფასდება.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის ლექტორების წვლილი, მათი დიდი ძალისხმევა და მზაობა იმისთვის, რომ სტუდენტმა რაც შეიძლება ნაყოფიერად გაატაროს უნივერსიტეტში სწავლის წლები და გაიღრმაოს ცოდნა სასურველ პროფესიაში... როგორც ამბობენ, დრო სწრაფად გარბის და, მართლაც, თვალის დახამხამებაში გაირბინა ამ ოთხმა, გამოწვევებითა და სიახლეებით დახუნძლულმა, წელიწადმა.

მადლობა მინდა გადავუხადო თსსუ-ის აკადემიურ პერსონალს, თითოეულ ადამიანს, ვინც დამეხმარა სასურველი პროფესიის შეცნობაში – მადლობა თქვენ გაწეული შრომისთვის!

ვფიქრობ, რომ ადამიანი ყველაზე მეტად მაშინ არის ბედნიერი და თვითრეალიზებული, როცა მიზანსწრაფულია და მაქსიმუმს აკეთებს პროფესიული სრულყოფისთვის. განვითარება ხომ უწყვეტი პროცესია!

**თამარ ხუროშვილი,**
**ფარმაციის ფაკულტეტის**
**კურსდამთავრებული**

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე სწავლის ოთხი წელი მრავალხრივ ნაყოფიერი იყო ჩემთვის – უპირველესად, მივიღე მნიშვნელოვანი და საჭირო ცოდნა, რაც დამეხმარება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში; დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც უშურველად გვინაწილებდნენ ცოდნას და გამოცდილებას; განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, ასოცირებული პროფესორის – მარინა ციმაკურიძის და დეკანის მოადგილის, ასისტენტ-პროფესორ ნატო ხუნაშვილის მიმართ. მათი წვლილი, ჩვენი პიროვნული და პროფესიული ზრდის თვალსაზრისით, განუზომელია.

უნივერსიტეტში, სწავლის პარალელურად, შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის და ამ კუთხით განვითარების შესაძლებლობაც მომეცა. ვცეკვავდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულ სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლში. საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მონაწილეობა კონცერტებში, სხვადასხვა კონკურსსა თუ ფესტივალში, თუმცა ყველაზე სასიხარულო 2022-23 წლებში სტუდენტურ ფესტივალებზე გამარჯვება იყო.



ჩემთვის განსაკუთრებული პატივი გახლდათ ვყოფილიყავი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენის წევრი, ხოლო შემდგომ – ხელმძღვანელი. ამ პოზიციის წყალობით შევძელი მრავალი ლექცია-სემინარისა და სახალისო აქტივობის ჩატარება.

თსსუ-ის დამამთავრებელ კურსზე სწავლისას დავაარსეთ საქართველოს თანასწორობის ასოციაციის (GAFE) თანასწორობის კლუბი, რომლის პრეზიდენტადაც ამირჩიეს. ვაცნობიერებდი, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ისეთი გარემოს შექმნა, სადაც სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები თავს დაცულად იგრძნობდნენ, მათი მოსაზრებები კი გათვალისწინებული და მხარდაჭერილი იქნებოდა.

სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებული სტუდენტობის წლები მართლაც დაუვიწყარ მოგონებად დარჩება ჩემს მეხსიერებაში; ვამაყობ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ!

**მედეა ჩხეიძე,**
**საზოგადოებრივი ჯანდაცვის**
**ფაკულტეტის**
**კურსდამთავრებული**

# წერილები Alma Mater-ს



გსმენიათ ალბათ: „ზოგჯერ პეპლის ფრთის ერთმა მოძრაობამაც კი შეიძლება ათასობით კილომეტრის დაშორებით ქარიშხალი გამოიწვიოს“– ჩვენი ცხოვრებაც, თითქოს, მსგავსი პარადოქსებითაა აღბეჭდილი... ბავშვობაში ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ სამედიცინო სფეროს დავუკავშირებდი მომავალს და ასე იყო მანამ, სანამ ბიოლოგიის მასწავლებელთან არ დამჭირდა მომზადება საატესტატო გამოცდებისთვის. ყველაფერს აქვს მიზეზი და მჯერა, რომ ყველა მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

პროფესიული არჩევანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის მიმართულებაზე გავაკეთე და მადლიერი ვარ საკუთარი თავის ამ არჩევანისათვის. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლამ საინტერესო შთაბეჭდილებები მაჩუქა და ცხოვრებისეული გამოცდილებაც შემძინა. ბაკალავრიატის ოთხმა წელმა საბოლოოდ დამარწმუნა, თუ საზოგადოებრივი ჯანდაცვა რაოდენ მნიშვნელოვანია მედიცინისთვის. მაქსიმალურად ვეცდები, საკუთარი წვლილი შევიტანო დარგის განვითარებაში, რაშიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა დამეხმარება. აქვე, დიდ მადლობას გადავუხდი ჩვენს ლექტორებს, რომლებმაც ძალისხმევა არ დაიშურეს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისთვის.

როცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებულ სტუდენტობაზე ვსაუბრობ, არ მავიწყდება, რამდენიმე თვის წინ, „პალიტრა L“-ის ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებული ფაქტები და თსსუ-ის მხარდაჭერა და თანადგომა საჭირო დროს, რისთვისაც მუდამ მადლიერი ვიქნები – ეს კონკურსი ხომ ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩემთვის და ფინალურ ეტაპზე გადასვლაც უდიდესი წარმატება იყო. ამასთან დაკავშირებით, ასევე, მადლიერება მინდა გამოვხატო კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოს და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის, გენადი კვერენჩხილაძისადმი, რომლის უშუალო ჩართულობით და დახმარებით შევძელი საკოლექციო ტირაჟით დამებეჭდა ჩემი პირველი რომანი: „ამბავი – მაგიური კალენდრის ისტორია“.

უნივერსიტეტთან დამშვიდობებას ჯერ არ ვაპირებ – სწავლას მაგისტრატურაში გავაგრძელებ და პროფესიული დახელოვნების ახალი ეტაპი დაიწყება ჩემს ცხოვრებაში.

ახალგაზრდებს, ვინც ახლა იწყებთ სწავლას, გირჩევდით, რომ არასოდეს შეგეშინდეთ სირთულეების, უდიდესი იმედგაცრუების დროსაც კი არ დანებდეთ და გწამდეთ: მხოლოდ მონდომებით და შრომით შეძლებთ მიაღწიოთ დასახულ მიზანს.

**ნიკოლოზ ყვავაძე,**
**საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული**



ხელოვნების, კერძოდ კი – მუსიკისადმი, დიდი სიყვარულის მიუხედავად, ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ ჩემი მომავალი პროფესია სამედიცინო სფეროსთან იქნებოდა დაკავშირებული; მშობლების პროფესიიდან გამომდინარე, ჩემთვის, ასევე, საინტერესო იყო უმაღლესი მათემატიკა. შესაბამისად, მიჭირდა პროფესიული არჩევანის გაკეთება, მიუხედავად ამისა, მთავარი მიზანი და სურვილი ნათელი იყო – მეზრუნა ადამიანების ჯანმრთელობაზე. ვიაზრებდი იმ უდიდეს პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს, რაც თან ახლავს სამედიცინო სფეროში საქმიანობას და სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იყო ადგილი, სადაც ყველაზე კარგად მოვახერხებდი ჩემი მიზნებისა და ოცნებების რეალიზებას.

დადგა დრო, როდესაც ცხოვრებაში გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადამედგა და საბოლოოდ განმესაზღვრა მომავალი პროფესია. გავეცანი აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს და არჩევანი შევაჩერე პროგრამაზე, რომელიც აერთიანებდა ჯანდაცვასა და მენეჯმენტს, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა. გავიაზრე, რომ მექნებოდა შესაძლებლობა, მეზრუნა საზოგადოებაზე და არა კონკრეტულ ინდივიდზე, ასევე, გზა მეხსნებოდა მენეჯმენტისა და საჯარო სექტორში საქმიანობის მიმართულებით. ქართულ დიპლომთან ერთად, ფრანგული დიპლომის აღებით მიმარტივდებოდა გასვლა საერთაშორისო ასპარეზზე. უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან სულ მალე კოვიდპანდემია დაიწყო, რომელმაც კიდევ უფრო ნათლად დამანახა ჯანდაცვის უდიდესი როლი გლობალური მასშტაბის კატასტროფის წინააღმდეგ ბრძოლაში, მივხვდი, რამდენი რამ იყო გასაკეთებელი დარგის განვითარებისთვის, რამაც მომცა მოტივაცია მეც წვლილი შემეტანა ამ მნიშვნელოვან პროცესში.

განვლილი ოთხი წელი არ ყოფილა მარტივი. თავიდანვე გააზრებული მქონდა, რაოდენ რთულ საქმეს შევეჭიდე; ცხადია, იყო პრობლემებიც, მაგრამ შევეცადე, თავი არ დამეზოგა და მაქსიმალურად გამომეყენებინა ჩემი შესაძლებლობები. მოტივაციას მაძლევდა საკუთარი მიზნისკენ სწრაფვა, ოჯახის წევრები, რომლებიც მუდამ მხარს მიჭერდნენ, გამორჩეული ლექტორები, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ ჩვენი ცოდნის გასაღრმავებლად და პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად. ასეთ დაუღალავ შრომას აუცილებლად მოჰყვება წარმატება და ამას მაშინ მივხვდი, როდესაც სახელმწიფო სტიპენდიატი გავხდი.

ამ საკმაოდ რთული, მაგრამ მნიშვნელოვანი ოთხი წლის განმავლობაში ურთიერთობა მქონდა უამრავ საინტერესო ადამიანთან, რომლებმაც თავიანთი მრავალწლიანი გამოცდილება გაგვიზიარეს, რისთვისაც ყოველთვის მათი მადლიერი ვიქნები.

სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით მაქვს არჩევანის ფართო არეალი და მიმაჩნია, რომ შევიძინე საკმარისი ცოდნა იმისთვის, რომ თავი გამოვცადო როგორც კლინიკურ, ასევე – საჯარო სექტორში საქმიანობის მიმართულებით. ბაკალავრის საფეხურის დამთავრების შემდეგ, მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად, ვაპირებ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განვაგრძო სწავლა. ახალ საფეხურზე, ახალი სტატუსით და მეტი გამოცდილებით, შევეცდები საკუთარი წვლილი შევიტანო ჩემი ქვეყნის ჯანდაცვის სფეროს განვითარებაში.

**ნინო გერგაული,**
**საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული**




ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მომავალი პროფესიის არჩევაა. ბავშვობიდანვე მსურდა სამედიცინო და სამეცნიერო მიმართულებით განვვითარებულიყავი, დავიწყე მცირე ნაბიჯებით ამ მიზანთან მიახლოება და ცოდნის დასუფლებლად თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ავირჩიე.

სტუდენტობის პირველი დღე ყველასთვის და ჩემთვისაც დაუვიწყარი და ემოციებით აღსავსე იყო – ახალი ადამიანები, თბილი გარემო, უსაყვარლესი ჯგუფელები, ექსკურსიები, ყოველდღე სემინარებისთვის მზადება და ბიბლიოთეკაში საღამომდე ყოფნა, – ჩემი აზრით, ეს სტუდენტობის ის ხიბლია, რაც მომავალშიც არაერთხელ მომენატრება.

სწავლის მიმართ ინტერესი და სიყვარული მუდამ მქონდა და ამ ყველაფერში კიდევ უფრო მეხმარებოდა შესანიშნავი ლექციები, რომლის დახმარებითაც ინფორმაციის ათვისება გაცილებით მიადვილდებოდა. დიდ მადლობას ვუხდი ლექტორებსა და სემინორებს, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით მომავალი ექიმების აღზრდაში. ლექციების გარდა ვესწრებოდი კონფერენციებს, რისი მეშვეობითაც კიდევ უფრო ვიღრმავებდი ცოდნას.

თსსუ-ში სწავლის მანძილზე შევიძინე უამრავი მეგობარი და მეორე ოჯახი – საუკეთესო მე-3 ჯგუფი. მადლობა თითოეულ ჯგუფელს ერთად გატარებული ყოველი დღისთვის და დაუვიწყარი ემოციისთვის!

მადლობას ვუხდი თსსუ-ის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, უნივერსიტეტის წინსვლისა და თავდაუზოგავი შრომისთვის.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორ ნანა ყიფიანს, რომელიც ყოველთვის ზრუნავს სტუდენტებზე და ჩვენი უდიდესი გულშემატკივარია. მისი ხელმძღვანელობით მონაწილეობა მივიღე კონფერენციაში, რომელზეც წარვადგინე თემა: „ქრონიკული მორეციდივე აფთოზური სტომატიტი ბავშვებში“. ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო მიზნისკენ; მადლობა ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ მარინა მამალაძეს, ჩვენთვის თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის; ასევე იმისთვის, რომ კურსდამთავრებულებს საშუალება მოგვცა ვყოფილიყავით ტუტორები და უმცროსსემესტრელებისთვის გაგვეზიარებინა ცოდნა, რამაც ძალა და თავდაჯერებულობა შეგვმატა.

ძალიან მადლიერი ვარ ასოცირებული პროფესორის, ნინო აბაშიძის. ვამაყობ, რომ როგორც წარჩინებულ სტუდენტს, საშუალება მომეცა, გამევლო მისი საავტორო კურსი პაროდონტოლოგიაში. კურსის ფარგლებში შევიძინე თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

დასამახსოვრებელი და სახალისო იყო თსსუ-ის კულტურის ცენტრის კლასიკური მუსიკის განყოფილებაში გატარებული დღეები. მადლობა მის ხელმძღვანელს, ბატონ გოდერძი ჩიტაიშვილს. კონცერტებზე ჩემს ტყუპისცალთან (ნინო გერგაული, თსსუ-ის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი) ერთად, დუეტების შესრულება შემოქმედებითი ძალით მავსებდა, რაც მიხალისებდა სტუდენტურ ცხოვრებას.

ამაყი ვარ, რომ დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელმაც აღზარდა უამრავი ღირსეული ექიმი და მეცნიერი. ხუთი წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება და ცოდნა, ყველაზე დიდი მოტივაციაა შემდგომი განვითარებისთვის.

**ვერიკო გერგაული,**
**სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული**



სპეციალობის არჩევისას გადაწყვეტილების მიღება არ გამჭირვებია, რადგან მედიცინის სფეროში მსურდა სწავლის გაგრძელება, რაშიც დიდი როლი ითამაშა ჩემმა სპორტულმა წარსულმა და იმ ტრავმამ, რის გამოც იძულებული გავხდი დავმშვიდობებოდი სპორტს, მაგრამ დავინტერესდი მსგავსი ტრავმების მკურნალობის, რეაბილიტაციისა და პრევენციის საკითხებით. რაც უფრო სიღრმისეულად ვეცნობოდი ამ დარგს, მით უფრო მკაფიოდ ვხედავდი ჩემს მომავალს, ამისთვის კი, თსსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი საუკეთესო აღმოჩნდა, რადგანაც შემეძლო ჩავრთულიყავი რეაბილიტაციის უწყვეტ და კოორდინირებულ პროცესში, დავხმარებოდი ადამიანებს, მეზრუნა მათი ჯანმრთელობის ხარისხზე.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დეპარტამენტში არაჩვეულებრივი ადამიანები გავიცანი, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩემს პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში. განსაკუთრებით აღვნიშნავდი ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ლელა მასხულიას, რომელიც პირველივე ლექციიდან დამეხმარა არჩეული სპეციალობის სიღრმისეულ გაცნობაში და მისი შესწავლისას მოტივაციისა და ინტერესის გაღვივებაში. სწავლის დროს სტაჟირებაზე ვიყავი Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამით ლიეტუვაში. ამან ფასდაუდებელი გამოცდილება შემძინა, რისთვისაც ძალიან მადლიერი ვარ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის. ვფიქრობ, მზად ვარ, ვიყო კონკურენტუნარიანი და ვიშრომო შემდგომი წარმატებების მისაღწევად.

სისუსტის და გადაღლის ძლიერი შეგრძნებაც მქონია. პანდემიის პირობებში მიღებული სტრესი ხანდახან ართულებდა სწავლისთვის საჭირო დროისა და ენერგიის პოვნას. თუმცა, დღეს ვთვლი, რომ ეს გამოწვევაც ერთგვარი გამოცდილება იყო. ჩვენ ყველა სირთულეს უნდა გავუმკლავდეთ. ამის გარეშე ჩვენი განათლება არასრულყოფილი იქნებოდა, ვინაიდან სამედიცინო სფეროში მუშაობა დიდ გამძლეობასა და მიზანდასახულობას მოითხოვს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩემი წარმატებული ცხოვრების საყრდენად მიმაჩნია.

**მარიამ ასპანიძე,**
**ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული**



ახალგაზრდებისთვის უმნიშვნელოვანესია სათანადო ცოდნის და განათლების მიღება. აბიტურიენტობა ის პერიოდია, ახალი ნაბიჯების გადასადგმელად რომ ემზადები და ცდილობ, შენს სამომავლო წარმატებებს ჩაუყარო საფუძველი.

კარგად მახსოვს, რა განვიცადე, როცა ჩემთვის სასურველ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩავირიცხე; ეს იყო მოულოდნელი შრომით, სირთულეებით აღსავსე პერიოდი, განათლების მიღების და წარმატების ძიებაში განვლილი წლები, საუკეთესო მეგობრების და კოლეგების შეძენის დრო...

მადლიერების სიტყვებით მინდა აღვნიშნო ჩემი ლექტორების შეტანილი დიდი წვლილის შესახებ ჩვენს განვითარებაში; ისინი ხომ ყოველთვის მზად იყვნენ, გვერდით დაგვდგომოდნენ და დაგვხმარებოდნენ სირთულეების დაძლევაში.

მუდმივად ვიქნები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი ოჯახის წევრი; აქ მიღებული ცოდნა, უდავოდ, დამეხმარება გავხდე ღირსეული პროფესიონალი და სპეციალისტი.

**მარიამ შაკაია,**
**სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული**



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის ოთხმა წელმა სავსებით შეცვალა ჩემი შეხედულება არა მარტო არჩეულ პროფესიაზე, არამედ – ცხოვრებაზეც. მახსოვს, ოთხი წლის წინ, როგორ ვათენებდი ღამეებს საგნების შესწავლაში; პირველ ხანებში ანატომიის სწავლა წარმოუდგენლად რთული მეჩვენებოდა. დღეს უკვე პირველ ნაბიჯებს ვდგამ პაციენტების მკურნალობის გეგმის შემუშავებაში. პრაქტიკული მეცადინეობები, ამაღელვებელი გამოცდები ჩემი ყოველდღიური რეალობაა. მინდა, მადლობა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს. აქ გავიცანი ადამიანები, რომლებსაც სიამაყით ვუწოდებ მეგობრებს, კოლეგებს; მადლობა იმ ლექტორებს, რომლებმაც შეგვაყვარეს არა მარტო სამედიცინო დისციპლინები, არამედ მოგვცეს მოტივაცია პროფესიული განვითარებისთვის. მინდა, მადლობა გადავუხადო ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ლელა მასხულიას, კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკის ზრდასრულთა მიმართულების ხელმძღვანელს, თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის მოწვეულ მასწავლებელს, სოფო შაგიძეს, თითოეული სტუდენტის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და დაუღალავი შრომისთვის, რომელსაც ისინი ეწევიან რეაბილიტაციის დარგის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის.

პირველსემესტრელებს, რომლებიც ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე აპირებენ სწავლის გაგრძელებას ვურჩევდი, რომ არ შეუშინდნენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ავადმყოფის მკურნალობით, არამედ მოიცავს მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და სოციალურ ინტეგრაციას.

ერთი შეხედვით, სიარული, ტრანსფერი, დამოუკიდებლად კვება, ჰიგიენის დაცვა მარტივია, ვინაიდან ეს ქმედებები ჩვენთვის ბუნებრივია, თუმცა, რეალობა კარდინალურად სხვაგვარი შეიძლება, აღმოჩნდეს. პაციენტის დარღვეული მოტორიკის აღდგენა მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და სწორ გუნდურ მუშაობას. ეს არის ის მცირედი ჩამონათვალი, რომელზეც მოგიწევთ მუშაობა მომავალში. რეაბილიტაციაზე საუბრისას ყოველთვის მახსენდება შემდეგი სიტყვები (სამწუხაროდ, ავტორი ჩემთვის უცნობია): „მედიცინა დღეებს მატებს სიცოცხლეს, ფიზიკური თერაპია მატებს სიცოცხლით სავსე დღეებს“. ეს პროფესია შედარებით ახალია და პაციენტის სრული გამოჯანმრთელებისთვის ფინალური რგოლია. ფიზიკური მედიცინის მომავალი ჩემზე და შენზეა დამოკიდებული. იყავი მუდამ ინფორმირებული და საკუთარი პროფესიის შესახებ შეუქმენი სწორი ხედვა სხვებს.

**ნიკა ლეკიშვილი,**
**ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული**

## Forbes Georgia-ს პროექტის ლიდერებს შორის თსსუ-ის კურსდამთავრებული დასახელდა




ნიკა გვაზავა, რომელიც Forbes Georgia-ს პროექტის – 30 UNDER 30 – მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე ახალგაზრდების საუკეთესო ხუთეულში შევიდა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

Forbes Georgia-მ პროექტ 30 UNDER 30-ის ფარგლებში საქართველოში 30 წლამდე ასაკის ლიდერები შეარჩია. 2023 წლის სიაში ახალგაზრდებმა ადგილი თავიანთი მიღწევების, რეპუტაციის, ლიდერობის უნარებისა და სხვადასხვა დარგში მიღწეული წარმატებების საფუძველზე დაიკავეს. პროექტის მიზანია, გამოავლინოს ნიჭიერი და უნიკალური ხედვის მქონე ახალგაზრდა ლიდერები, რომლებიც საკუთარი ძალისხმევითა და მიზანმიმართული საქმიანობით მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სხვადასხვა სფეროზე.

ნიკა გვაზავა ამჟამად ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის ღეროვანი უჯრედების ცენტრის დოქტორანტია (Lund Stem Cell Center, Faculty of Medicine, Lund University).

„ეს აღიარება მეცნიერებაში ჩემთვის დიდი პატივი და, ამავდროულად, დიდი პასუხისმგებლობაა, რომელსაც ჩემი ქვეყნის წინაშე ვგრძნობ... სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა შრომისმოყვარეობას, მოთმინებას და თავდადებას მოითხოვს, შედეგი მყისიერი არ არის, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ხდება თვალსაჩინო და სერიოზული გავლენის მოხდენაც შეუძლია ადამიანთა ცხოვრებაზე.

თავდაპირველად ექიმობა მინდოდა და ამიტომაც თსსუ-ში გადავწყვიტე სწავლა, სტუდენტი გავხდი, მოგვიანებით კი მივხვდი, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გაცილებით მიმზიდველი იყო ჩემთვის. სწორედ ეს იქცა ჩემ მოტივაციად შემდგომი გადაწყვეტილების მიღებისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, განათლებასთან ერთად, საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობა მომცა. ვთვლი, რომ ეს ჩემი ყველაზე დიდი შენაძენია; სწორედ ამის დამსახურებით, ბევრი რამ ვისწავლე და გაცილებით მოტივირებული და თავდაჯერებული გავხდი.

სტუდენტებს მინდა ვურჩიო, რომ არასოდეს დანებდნენ. პირველი დამარცხება არაფერს ნიშნავს, დამარცხება არ არსებობს, თუ მიზანმიმართულად გააგრძელებთ თქვენს საქმეს. ჯანსაღი კრიტიკა უნდა მივიღოთ და ვიცოდეთ მისი გამოყენება. იყავით ამბიციურები, მაგრამ იცოდეთ, რა გჭირდებათ წარმატებისთვის და აუცილებლად მოუსმინეთ თქვენს მენტორებს.

მედიცინაში და, მით უფრო, მეცნიერებაში, ასეა – რაც არ უნდა კარგად იცოდე საგანი, გამოცდილება გჭირდება, რაც დროსთან ერთად მოდის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არის ჩემი Alma Mater-ი. როცა საქართველოში ჩამოვდივარ, აუცილებლოად ვსტუმრობ უნივერსიტეტს. მადლიერი ვარ ყველა ჩემი პროფესორ-მასწავლებლის, ყველა ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ, მუდმივად ვუამბობ ჩემი საქმიანობის შესახებ, ვიცი, ისეთ რჩევებს მომცემენ, რომელიც ძალიან გამომადგება“ – ამბობს ნიკა გვაზავა.

აღსანიშნავია, რომ თსსუ-ის კურსდამთავრებული, ნიკა გვაზავა, როგორც მეცნიერი ექსპერტი, დღესაც მჭიდროდ თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან.

„ნიკას არც ერთი წუთით არ გაუწყვეტია კავშირი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან. მჭიდროდ თანამშრომლობს და ჩართულია დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაში, ეხმარება სტუდენტებს სამეცნიერო უნარ-ჩვევების შეძენაში. ნიკა მართლაც, დიდ სამსახურს გვიწევს სხვა კურსდამთავრებულებთან ერთად. ის, როგორც მეცნიერი ექსპერტი, სტუდენტების მიერ დაწერილი პროექტების შეფასებაში მონაწილეობს.

ვულოცავ მას წარმატებებს. მინდა აღვნიშნო, რომ ბევრი იშრომა ამისთვის. თავიდანვე, პირველივე სემესტრიდან, მიიქცია ყველას ყურადღება. ძალიან აქტიური სტუდენტი იყო, გამოირჩეოდა კომუნიკაბელობით, ასევე, ნათელი გონებით და ანალიზის უნარით, რაც შესაძლებლობას აძლევდა, სწავლასთან ერთად, ბევრი სხვა საინტერესო საქმეც ეკეთებინა“, – აღნიშნავს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი თინათინ ჩიქოვანი.




## დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტი აშშ-ში, მეიოს კლინიკის ჯილდოს მფლობელი გახდა და დერმატოლოგთა ჯგუფში პოსდოქტორანტის პოზიციაზე იმუშავებს

თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მეთორმეტე სემესტრის სტუდენტი ანი ფაჟავა მეიოს კლინიკის განსაკუთრებული ჯილდოს მფლობელი გახდა. ექიმ სმიტისა და ქალბატონ ლუსილ გიბსონის სახელობის ჯილდო, რომელიც 2000 წელს კლინიკის კვლევითი დეპარტამენტის მისიის მხარდასაჭერად დაარსდა, ანის საშუალებას მისცემს, აშშ-ში, მინესოტას შტატის ქალაქ როჩესტერში, მეიოს კლინიკის მეცნიერებთან ერთად, იმუშაოს დერმატოლოგიურ კვლევაზე: „Marpe Technologies-ის სამგანზომილებიანი კანის სკანერის პრაქტიკული გამოყენების დაკვირვებითი კვლევა“.

ანი ფაჟავა მეიოს კლინიკაში, კლინიკური როტაციის ფარგლებში, აპრილში იმყოფებოდა. სტუდენტმა ოთხკვირიანი სწავლება დერმატოლოგიის მიმართულებით გაიარა. ანისთვის მეიოს კლინიკაში გატარებული ერთი თვე წარმატებული აღმოჩნდა. მის მიერ გავლილი სწავლის პერიოდი შეფასდა უმაღლესი – „საპატიო როტაციის“ სტატუსით.

მეიოს კლინიკაში ჩასვლამდე, ანი, თსსუ-ის დაფინანსებით, იმყოფებოდა ემორის უნივერსიტეტში და 8 კვირის განმავლობაში ინტენსიური თერაპიისა და ნევროლოგიის როტაციებში მონაწილეობდა. აღნიშნული კლინიკური აქტივობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლას შორის არსებული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა.

ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასა და მეიოს კლინიკაში მიღებული გამოცდილების შესახებ ანის გავესაუბრეთ.

**– გვიამბე, როგორ მიიღე ჯილდო მეიოს კლინიკის კვლევაში ჩასართავად?**

– ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ექიმ სმიტისა და ქალბატონ ლუსილ გიბსონის სახელობის ჯილდოს მოპოვება, რომელიც მაძლევს შესაძლებლობას, შევუერთდე მეიოს კლინიკის დერმატოლოგიის კვლევით ჯგუფს და ჩემს მენტორთან – ექიმ მევესთან ერთად, გარკვეული წვლილი შევიტანო ამ დარგის განვითარებაში.

ექიმ სმიტისა და ქალბატონ ლუსილ გიბსონის სახელობის ჯილდოს შესახებ ინფორმაცია მეიოს კლინიკის ერთ-ერთმა დერმატოლოგმა მომაწოდა და მირჩია, კონკურსში მიმეღო მონაწილეობა. მოგეხსენებათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ექიმის კარიერის გაგრძელებისთვის (რეზიდენტურაში) დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევით გამოცდილებას, ამიტომაც აღნიშნული ჯილდოსთვის კონკურსში მონაწილეობის მიღება ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო. მიხარია, რომ ეს გამოწვევა წარმატებით დავძლიე და, შედეგად, ვიმუშავებ დერმატოლოგიაში პოსტდიპლომური კვლევის განხორციელებისთვის.

მეიოს კლინიკაში გატარებულმა ოთხკვირიანმა კლინიკურმა როტაციამ შესაძლებლობა მომცა, მემუშავა მეცნიერებთან, წამყვან დერმატოლოგებთან, დერმატოქირურგებთან, პათოლოგებთან ერთად სხვადასხვა საინტერესო, მათ შორის, იშვიათ დაავადებებზე.

ამ დროის განმავლობაში მივიღე პრაქტიკული ცოდნა სხვადასხვა დერმატოლოგიური მდგომარეობის დიაგნოსტიკისა თუ მკურნალობის შესახებ, გავიღრმავე კვლევის უნარები, განსაკუთრებით – კვლევის მეთოდოლოგიასა და მონაცემთა ანალიზში.



უნდა აღვნიშნო, რომ ჩემზე დიდი გავლენა იქონია ექიმმა მევესმა. მისმა პროფესიონალიზმმა, სწავლებამ და რჩევებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჩემი კლინიკური უნარები. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს პროფესიულ განვითარებაში.

**– რა იქნება მეიოში კვლევის საგანი?**

– ჩვენი კვლევა, სახელწოდებით “Marpe Technologies-ის სამგანზომილებიანი კანის სკანერის პრაქტიკული გამოყენების დაკვირვებითი კვლევა”, სრულიად ინოვაციური მეთოდია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ერთმანეთისგან გავარჩიოთ კანის კეთილთვისებიანი სიმსივნე მელანომისგან.

**– შენთვის, როგორც თსსუ-ის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტისათვის, რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი წარმატება?**

– ამ წარმატებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩემი პროფესიული და პიროვნული განვითარებისთვის. მსგავსი ჯილდოს მიღება მეიოს კლინიკაში დერმატოლოგიის მიმართულებით ჩემი კარიერისთვის მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია. მიღებული გამოცდილება დამეხმარება კლინიკური და კვლევითი უნარების განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, გამიმყარებს აშშ-ის რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს. სიამაყით უნდა ვთქვა, რომ თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის საშუალებით მიღებული ცოდნა და უნარები (თეორიული, კლინიკური და კვლევითი) ძალიან დამეხმარა აშშ-ის კლინიკებში მუშაობისას. ამ ერთწლიან კვლევაზე სამუშაოდ მეიოს ჯგუფს ოქტომბრის ბოლოდან შევუერთდები. მოუთმენლად ველოდები ახალ და საინტერესო გამოწვევებს!

**– ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში მიღებული გამოცდილების შესახებ გვიამბე...**

– დარწმუნებული ვარ, რომ ემორის მედიცინის სკოლაში მიღებული გამოცდილება არის ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი საფუძველი. ჯერ კიდევ მეორე სემესტრის დასრულებისას, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტს, წილად მხვდა პატივი, წავსულიყავი ემორის მედიცინის სკოლაში კურსელებთან ერთად, პროგრამით – „ზაფხული ემორიში“. მაშინ ატლანტაში გატარებულმა ერთმა თვემ მომცა მნიშვნელოვანი ინფორმაცია აშშ-ში ჯანდაცვის სისტემისა და მედიცინის დღევანდელობის შესახებ. ხოლო მოგვიანებით, უკვე მეთორმეტე სემესტრში, ნევროლოგიისა და ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში გატარებულმა რვა კვირამ შესაძლებლობა მომცა, მესწავლა ისეთ წამყვან ექიმებთან, როგორებიც არიან ტოდ ვილიამსონი (ნევროლოგიის დეპარტამენტში) და პრემ კენდია (ინტენსიურ თერაპიაში). ამასთან, მქონდა შესაძლებლობა, თავადაც მიმეღო მონაწილეობა პაციენტების მართვაში. კომპლექსურმა სამედიცინო შემთხვევებმა და მულტიდისციპლინურმა თანამშრომლობამ ემორის კლინიკურ გარემოში, კიდევ ერთხელ დამარწმუნა გუნდური მუშაობის მნიშვნელობაში.






**– როგორი იყო შენი სამუშაო დღე ემორის უნივერსიტეტის კლინიკებში?**

– ნევროლოგიის დეპარტამენტში დღე იწყებოდა დილის 8 საათზე, სადაც ექიმის ასისტენტთან ერთად განვიხილავდი დღის მანძილზე შემოსული ამბულატორიული პაციენტების სამედიცინო ისტორიის დეტალებსა და ლაბორატორიული კვლევის შედეგებს. დილის 9 საათიდან დამოუკიდებლად ვხვდებოდი 4-5 პაციენტს, ვაგროვებდი ინფორმაციას პაციენტების ისტორიისთვის და ვაწარმოებდი მათ ფიზიკალურ გამოკვლევას. პაციენტისგან შეგროვებულ ისტორიას და მკურნალობის გეგმას წარვუდგენდი კლინიკის ექიმს, რომელიც განიხილავდა ჩემს ნამუშევარს. ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, როგორც წესი, გვიტარდებოდა სასწავლო სესიები, სადაც საშუალება მქონდა, მესწავლა ელექტროენცეფალოგრაფიასა და ელექტრომიოგრაფიის ინტერპრეტაცია. სასწავლო სესიის შემდეგ ოფისში ვმუშაობდი: აღვწერდი პაციენტის ისტორიას და ფიზიკალურ მდგომარეობას. ვისწავლე ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების ამერიკული სისტემის გამოყენება, საინტერესო იყო პაციენტებთან კომუნიკაცია, ვეხმარებოდი ლაბორატორიული კვლევების შესრულებასა და დიაგნოსტიკურ ტესტირებაში, შემეძლო ელექტრომიოგრაფიისა და ელექტროენცეფალოგრაფიის წარმართვა, წაკითხვა და მათი ანალიზი.

ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტში სამუშაო დღე იწყებოდა დილის 6:30 საათზე, სადაც რეზიდენტებთან ერთად მონაწილეობას ვიღებდი პაციენტების ლაბორატორიული შედეგების შემოწმებაში, 24 საათის განმავლობაში განვითარებული მდგომარეობის შეფასებაში, მკურნალობის გეგმაში ცვლილების შეტანის განხორციელებაში. არსებულ ინფორმაციას წარვუდგენდი ექიმს და მთელ ჯგუფთან ერთად განვიხილავდით თითოეულ განვითარებულ მოვლენას თუ ცვლილებას. ასევე, ვესწრებოდი ყოველდღიურ ლექციებს სხვადასხვა თემაზე, მათ შორის იყო სეფსისის მართვა, მექანიკური ვენტილაცია და ჰემოდინამიკური მონიტორინგი. ლექციების გარდა, მქონდა შესაძლებლობა, მეთანამშრომლა ფარმაცევტებთან, ნუტრიციოლოგებთან, ფიზიკურ და ოკუპაციურ თერაპევტებთან, ექთნებთან, რომელთა როლიც უდიდესია კრიტიკულად დაავადებული პაციენტების მართვაში. ამ ყოველივემ შესაძლებლობა მომცა, უფრო ღრმად გამეგო მულტიდისციპლინური მიდგომის მნიშვნელობის შესახებ ინტენსიურ თერაპიაში. აქაც უნდა აღვნიშნო, რომ თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულმა პროგრამამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა, წარმატებით გამევლო კლინიკური სწავლება შეერთებულ შტატებში: პროგრამამ შემძინა მყარი თეორიული ცოდნა და ის საჭირო უნარები, რომლებიც აუცილებელია პაციენტების შეფასების წარმატებით ჩასატარებლად.

**– სწავლის პარალელურად, აშშ-ის სამედიცინო რეზიდენტურის მეორე საფეხურის გამოცდისთვის ემზადები. როგორია შენი სასწავლო გეგმა და რისი დათმობა გიწევს აღნიშნულ გამოცდებში წარმატების მისაღწევად?**

– სამწუხაროდ, ემორიში როტაციებს დაემთხვა ჩემი მეორე გამოცდის ჩაბარების თარიღი. იქიდან გამომდინარე, რომ ყოველი დღე ძალიან დატვირთული მქონდა, ვერ ვუთმობდი გამოცდისთვის მომზადებას საკმარის დროსა და ენერგიას, ამიტომ USMLE-ის მეორე გამოცდის გაუქმება მომიწია. ახლა უკვე თბილისში ვუბრუნდები ისევ მეცადინეობის ჩვეულ რიტმს, რაც დიდ შრომას, მოთმინებას და ინტენსიურ მუშაობას მოითხოვს. ჩემი პედაგოგები, რომელთა ნაწილმა ზუსტად ის გზა გაიარა, რასაც ახლა მე გავდივარ, ძალიან დიდ მოტივაციას მაძლევენ. იმედი მაქვს, მეც მალე შევუერთდები მათ.

**– დაბოლოს, რას ურჩევდი შენს თანატოლებს, მედიცინის პროგრამის სტუდენტებს, რომელთა მიზანიცაა აშშ-ის რეზიდენტურაში განაგრძონ სწავლა?**

– თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, დასავლური სტანდარტის სასწავლო კურიკულუმით და სხვა უამრავი შესაძლებლობით, იძლევა უნიკალურ შანსს, რომ ოცნება, რასაც აშშ-ში რეზიდენტობა ჰქვია, რეალობად ვაქციოთ. მჯერა, რომ თუ რამეს მიზნად დაისახავ და ამ მიზნის მისაღწევად თავს არ დაზოგავ, ყველაფერი გამოგივა. მთავარია, გჯეროდეს საკუთარი თავის და შესაძლებლობების! თუ მე შევძელი, დარწმუნებულები იყავით, რომ თქვენც გამოგივათ!..

**ნინი ზარდიაშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის მოადგილე**

# თსსუ კლინიკური ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის მუზეუმი 80 წლისაა



ოპერაციული ქირურგიის და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრა 1919 წლის 26 იანვარს მიხეილის სახელობის საავადმყოფოს პროზექტურის ბაზაზე დაარსდა; 1920 წელს კი გადაიტანეს კამოს ქუჩაზე არსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილ შენობაში. კათედრას მალევე ჩაუდგა სათავეში პროფესორი ალექსანდრე მაჭავარიანი, რომელიც რამდენიმე თვეში საფაკულტეტო ქირურგიის კათედრაზე მიავლინეს, ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის გამგედ კი აირჩიეს გამოჩენილი ანატომი და ქირურგი, ეკატერინოსლავიდან (ამჟამად დნეპროპეტროვსკი) სპეციალურად მოწვეული პროფესორი – ნიკოლოზ კახიანი.

ნიკოლოზ კახიანის მეცნიერული ცოდნისა და პროფესიული მომზადების მაღალი დონე, დიდი ერუდიცია, შრომისმოყვარეობა, პედაგოგიური ნიჭი, უაღრესად მიმზიდველი, შეიძლება ითქვას, მომაჯადოებელი პიროვნული თვისებები, ასისტენტების დავით იოსელიანისა და ნიკოლოზ დემეტრაძის თავდადებული შრომა და ენთუზიაზმი, კათედრის საქმიანობის ალმავლობის საწინდარი გახდა.

პროფესორი ნიკოლოზ კახიანი თვლიდა, რომ კათედრის წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო იყო ბაზის მოწყობა, მუზეუმის შექმნა და კიდევ ბევრი რამ, რაც მაშინდელი ეკონომიკური სიძნელეებისა და სამუშაო ფართობის უკიდურესი სიმცირის გამო, ფრიად ძნელი განსახორციელებელი იყო და, მიუხედავად ამისა, მან დავით იოსელიანისა და ნიკოლოზ დემეტრაძის ხელშეწყობით შეძლო, სანიმუშოდ წარემართა კათედრის მუშაობა.

ცნობილია, რომ პროფესორი ნიკოლოზ კახიანი ტოპოგრაფიული ანატომიის უდიდესი მცოდნე იყო. დ.იოსელიანის სიტყვებით, ანატომიური პრეპარატების დამზადებაში იგი ისეთივე ვირტუოზი იყო, როგორც ოპერაციულ ტექნიკაში.

კახიანისეული სტილი მტკიცედ დაინერგა კათედრის მუშაობაში და იგი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის საფუძველი გახდა. ასე გრძელდებოდა მერეც, როდესაც კათედრას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები: დავით იოსელიანი, ნიკოლოზ დემეტრაძე, შალვა თოიძე, ელგუჯა ყიფიანი. ამჟამადაც დეპარტამენტი ცდილობს, შეინარჩუნოს ეს სტილი.

„პროფესორ ნიკოლოზ კახიანის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ჩატარებულმა მუშაობამ, – აღნიშნავდა ნიკოლოზ დემეტრაძე თავის მოგონებებში, – გაგვიტაცა, წაგვახალისა და ენერგია შეგვმატა. გაჩაღდა მრავალმხრივი მუშაობა, დაიწყო მზადება ტოპოგრაფიულ-ანატომიური პრეპარატებისა“.

დიდი ყურადღება მიექცა კათედრის მუზეუმის შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ პრეპარატების დამზადება მეტად მძიმე პირობებში ხდებოდა, შედარებით მოკლე დროში შეიქმნა ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც დღესაც ამშვენებენ დეპარტამენტის მუზეუმს.

1947 წელს პროფესორი ნიკოლოზ დემეტრაძე აირჩიეს ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის გამგედ. იგი შესანიშნავად ფლობდა ანატომიური პრეპარატების დამზადების ტექნიკას და უყვარდა კიდეც ეს საქმე. პრეპარაციის დროს მოქმედებდა, როგორც ნამდვილი ხელოვანი და დიდ ცოდნას ამჟღავნებდა. იგრძნობოდა, რომ ეს ცოდნა არ იყო მარტო წიგნით შეძენილი, არამედ მრავალი წლის გულმოდგინე პრაქტიკული მუშაობის შედეგს წარმოადგენდა.

1954 წლიდან კათედრას სათავეში ჩაუდგა დიდი ტოპოგრაფანატომი და შესანიშნავი პედაგოგი, პროფესორი შალვა თოიძე. მას გვერდს უმშვენებდნენ პროფესორები: შამშე ქევანიშვილი, მარგო დანელიანი და მარგო ხეჩინაშვილი.

ბატონი შალვას იდეა იყო, რომ ის ანატომიური პრეპარატები, რომელიც (ჯერ კიდევ მცირე რაოდენობით) პროფესორ ნიკოლოზ კახიანისა და პროფესორ ნიკოლოზ დემეტრაძის მიერ იყო შესრულებული, უფრო გაემდიდრებინათ და ყველა სველი პრეპარატი ერთ სივრცეში მოქცეულიყო.

პროფესორ შალვა თოიძისა და პროფესორ შამშე ქევანიშვილის მიერ უზადოდ შესრულებული ანატომიური პრეპარატები, რომელთა ანალოგი არ არსებობს მსოფლიოს არცერთ ანატომიურ მუზეუმში, დღესაც ჩვენი დეპარტამენტის მუზეუმის მშვენებაა.

ბატონი შალვასა და ბატონი შამშეს დიდი დამსახურებაა, რომ მათ თავიანთ მოწაფეებს შეასწავლეს გვამის პრეპარირების ძალზე რთული პროცესი.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია ჩვენი მუზეუმის მშრალი პრეპარატები, რომლის დამზადების ტექნიკა ჯერ კიდევ პროფესორმა ნიკოლოზ კახიანმა ეგვიპტეში მივლინებისას აითვისა, შემდგომ კი პროფესორმა დემეტრაძემ ამ მეთოდით დაამზადა უნიკალური მშრალი პრეპარატები.

ჩვენ ვამაყობთ ამ უნიკალური მუზეუმით, რომელიც ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა. ტრადიციულად, მუზეუმი მრავალ სტუმარს მასპინძლობს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ვიმედოვნებთ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მომავალი თაობაც არ დაიშურებს ძალისხმევას, რვა ათეულ წელზე მეტი ისტორიის მქონე მუზეუმს სიცოცხლე შეუნარჩუნოს, რათა მომავალმა თაობამ იცოდეს თუ რა ძლიერ ფესვებზე დგას და რა ტრადიციებით მდიდარ სამედიცინო უმაღლეს სკოლაში სწავლობს.





**პროფესორი ლიანა კიკალიშვილი, თსსუ-ის კლინიკური ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი**

# სახელმძღვანელოს პრეზენტაცია

საქართველოს სამედიცინო საზოგადოება უმნიშვნელოვანესი მოვლენის მომსწრე გახდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიმართა პროფესორ მერაბ დვალის სახელმძღვანელოს – „ოფთალმოლოგიის საფუძვლები“ – პრეზენტაცია. წიგნი რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ თსსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ (03.11.22, ოქმი N 24/2).

სწავლების ოპტიმიზების მიზნით, პროფესორმა მერაბ დვალმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციაზე მუშაობისას, არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე დანერგა. იგი ათეული წლის განმავლობაში სტუდენტთა და რეზიდენტთა თაობების აღზრდის რთულ და საპატიო საქმეს ემსახურება. სწორედ აღნიშნული გამოცდილება დაედო საფუძვლად სახელმძღვანელოს შექმნას, რომელიც უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტების, რეზიდენტების და ზოგადი პროფილის ექიმებისთვისაა გათვალისწინებული.

ძალიან ბევრი რამ შეიცვალა ოფთალმოლოგიის დარგში ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში და წინა სახელმძღვანელო, რომელზეც თაობები აღიზარდნენ, გარკვეული თვალსაზრისით, მოძველდა, დაინერგა არაერთი სიახლე, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები. ასე რომ, დრომ და მოთხოვნამ წარმოშვა აუცილებლობა ახალი – დროის შესატყვისად საჭირო სახელმძღვანელოს შექმნისა, რომლის მეშვეობითაც ამიერიდან ოფთალმოლოგებს, რეზიდენტებსა და მედიცინის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ მშობლიურ ენაზე გაეცნონ და სამუშაო პრაქტიკაში გამოიყენონ ავტორის მიერ 10 წლის განმავლობაში, მართლაც, რუდუნებით შექმნილი წიგნი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ირინე კვაჭაძემ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინამდებარე ორიგინალური სახელმძღვანელო პროფესორ მერაბ დვალის პროფესიული და აკადემიური საქმიანობის ყველაზე მაღალი ნიშნულით შეიძლება შეფასდეს და დაამატა, რომ ამ შეხვედრის მიზანი მნიშვნელოვანი, ღირსეული, საჭირო და დროულია. პროფესორ ირინე კვაჭაძის შეფასებით, ძალიან დიდი შრომა დევს ამ მნიშვნელოვანი წიგნის შექმნის მიღმა და, თსსუ-ის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სახელით, მადლობა გადაუხადა ბატონ მერაბს და მის გუნდს იმ ღვაწლისთვის, რაც წიგნის შექმნისთვის გასწიეს.

წიგნის ერთ-ერთმა რედაქტორმა, ოფთალმოლოგმა ლია ჟორჟიკაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას დეტალურად გააცნო წიგნის სტრუქტურა და მისი შინაარსობრივი მხარე და აღნიშნა, რომ სახელმძღვანელოს შექმნა წინგადადგმული ნაბიჯია ქართულ ოფთალმოლოგიაში; მან, ასევე, ისაუბრა პროფესორ მერაბ დვალის ნახევარსაუკუნოვანი კლინიკური, სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილების შესახებ. აღნიშნა, რომ პროფესორ მერაბ დვალის სახელს უკავშირდება საქართველოში თვალის მიკროქირურგიის დარგის განვითარება, რისთვისაც 2002 წელს მას მიენიჭა სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში; 1992-1993 წლებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წარმატებული ოფთალმოლოგიური მოღვაწეობისათვის, ბატონი მერაბი დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის საერთაშორისო ორდენით“. პროფესორ მერაბ დვალის სახელთანაა დაკავშირებული კერატოკონუსის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ინოვაციური მეთოდების დანერგვა და კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი მიღწევა ამ მიმართულებით.






პროფესორმა ივა ბერაძემ, სახელმძღვანელოს მთავარმა რეცენზენტმა, აღნიშნა, რომ ეს არაჩვეულებრივი სახელმძღვანელო სტუდენტებს, რეზიდენტებსა და ექიმებს დიდ დახმარებას გაუწევს პროფესიული სრულყოფის თვალსაზრისით; მისი თქმით, არაა გასაკვირი, რომ ასეთი ნაშრომი წარმოადგინა პროფესორმა მერაბ დვალმა – პიროვნებამ, რომელმაც მრავალი სიახლე დანერგა ქართულ ოფთალმოლოგიაში.

წიგნის რედაქტორმა, მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა, ქალბატონმა ეთერ მშვიდობაძემ, საზოგადოებას მიულოცა წიგნის გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ წინა სახელმძღვანელოში, რომელზეც თაობები აღიზარდნენ და უნიკალური გახლდათ თავისი ღირებულებით, ვერ იქნებოდა გათვალისწინებული თანამედროვე ოფთალმოლოგიის ის სიახლეები, რომელიც მოცემულ გამოცემაში სრულადაა წარმოდგენილი. მისი შეფასებით, პროფესორ მერაბ დვალის სახელმძღვანელო სამაგიდო წიგნად იქცევა დარგისა და მომიჯნავე სპეციალობების ექიმებისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, შეფასებით, პროფესორ მერაბ დვალის სახელმძღვანელოს – „ოფთალმოლოგიის საფუძვლები“ – წარდგენის დღე სამედიცინო საზოგადოებისთვის ისტორიულია: თითქმის 4 ათეული წელია, ქართულ ენაზე ამ მიმართულებით არ გამოცემულა არცერთი სახელმძღვანელო, არადა, ამის საჭიროება ნამდვილად იყო. ოფთალმოლოგია ძალიან სწრაფად განვითარებადი დარგია და ყველა სიახლეს, რაც ამ მიმართულებით ხდება, საჭიროა გაეცნონ ახალგაზრდები და სპეციალისტთა ფართო წრეები.

პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას აღნიშვნით, უმნიშვნელოვანესია თუ ვინ მუშაობს სახელმძღვანელოს შედგენაზე. თავისთავად ცხადია, რომ ისეთი გამოცდილების მქონე პროფესორს, როგორიც ბატონი მერაბია, არ გაუჭირდებოდა სათქმელი გასაგებად, მარტივად გადმოეცა და, ამასთანავე, მკითხველისთვის მიეწოდებინა საილუსტრაციო მასალა საკუთარი მდიდარი კლინიკური გამოცდილებიდან.

ბოლოს, ბატონმა ზურაბმა მადლობა მოახსენა პროფესორ მერაბ დვალის ოჯახს, კერძოდ, მის დედას, პროფესორ ლია ჭელიძეს, იმ დიდი ამაგისათვის, რაც მას ღირსეული შვილის აღზრდაში მიუძღვის.

პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა ვლადიმერ კახაძემ, საზოგადოებას ახალი წიგნის დაბადება მიულოცა. მან სითბოთი და სიყვარულით ისაუბრა ბატონი მერაბის იმ დიდ წვლილზე, რაც მას საქართველოში ოფთალმოლოგიის დარგის განვითარების საქმეში მიუძღვის და სამომავლო წარმატებები უსურვა სახელმძღვანელოს ავტორს.

პროფესორმა ზაზა ბოხუამ, თსსუ-ის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორმა, აღნიშნა, რომ მომავალი ექიმებისა და რეზიდენტებისთვის მსგავსი ტიპის სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა დიდი ხანია იდგა და მისი რეალობად ქცევა მნიშვნელოვანი მოვლენაა სამედიცინო საზოგადოებისთვის.

სტუმრებმა ბაქოდან: აზერბაიჯანის ოფთალმოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა იჯრან ნამაზოვამ და აზერბაიჯანის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ოფთალმოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ჩინგიზ ჯარულაზადემ, მიულოცეს ქართველ კოლეგას ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა. მათ გაიხსენეს პერიოდი, როდესაც მოთმინებით, ერთგულებით აკეთებდნენ დიდ საქმეს პროფესორ მერაბ დვალთან ერთად და ერთმანეთის მიღწევებს, როგორც საკუთარს, ისე აღიქვამდნენ. 50-წლიანი მეგობრობა, რაც მათ ქართველ კოლეგასთან აკავშირებთ, ბევრის დამტევია. ეს მნიშვნელოვანი დღე მათ კიდევ ერთხელ მიულოცეს სახელოვან კოლეგას.

პროფესორმა ნიკოლოზ გონგაძემ სამედიცინო საზოგადოებას მიულოცა ეს მნიშვნელოვანი დღე და ისაუბრა იმ დიდ შრომაზე, რაც ბატონმა მერაბმა გასწია აღნიშნული წიგნის შესაქმნელად. მისი თქმით, ამიერიდან ქართველ ახალგაზრდებს და სპეციალისტებს რეალურად ექნებათ საშუალება, აიმაღლონ ცოდნა ოფთალმოლოგიის დარგში.

პროფესორ მერაბ დვალის რეზიდენტმა, სოფიო ჩუტკერაშვილმა, გამოსვლისას აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის სახელმძღვანელო ოფთალმოლოგიაში უმნიშვნელოვანეს საჭიროებას წარმოადგენდა ქართველი სტუდენტებისა და ექიმებისთვის. მისი სწავლის პერიოდში, სწორედ, სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული სირთულე გახლდათ ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი სასწავლო პროცესისა. მედიცინა სწრაფად განვითარებადი დარგია და საჭიროა, სტუდენტებს მიეწოდოთ უახლესი ინფორმაცია, რაც მათ სამომავლოდ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. წიგნში არსებული ინფორმაცია გახდება საძირკველი იმისა, რაზეც რეზიდენტებმა უნდა დააშენონ მიღებული პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება, – აღნიშნა გამომსვლელმა.

**დარეჯან კომლაძე**





სამედიცინო გაზეთი

# „ჰიგიას“ კიდევ ერთი პრემიერა



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა დრამატულმა თეატრმა „ჰიგიამ“ თეატრალურ დარბაზში პრემიერა – „იდეალური უცნობები“ წარმოადგინა. ეს გამორჩეული სპექტაკლი, რომელზე მუშაობაც ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, გამოწვევა აღმოჩნდა როგორც რეჟისორის, ისე სპექტაკლის მონაწილეებისთვისაც. უნდა ითქვას, რომ **სპექტაკლის მთავარი რეჟისორი – ნათია გუჯაბიძე, მუსიკალური გამფორმებელი – თათა პაპაშვილი და ქორეოგრაფი – არჩილ სოლოღაშვილი** ნამდვილად დიდი გამოწვევის წინაშე იდგნენ და ამ გამოწვევას თავი საუკეთესოდ გაართვეს.

ჩვენ ვესაუბრეთ სპექტაკლის რეჟისორს, თეატრ „ჰიგიას“ დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, თსსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს, **ნათია გუჯაბიძეს**. მან აღნიშნა:

– უკვე 21 წელია, რაც „ჰიგია“ არსებობს და პირველად, წინა სპექტაკლებისგან განსხვავებით, გადავწყვიტე, დამედგა დღევანდელი ცხოვრების ამსახველი ექსპერიმენტული სპექტაკლი, რომელიც შეცვლილ ფასეულობებს, ადამიანთა პრობლემებს, მეგობრობასა და გულწრფელობას ეხება. მოქმედება ვითარდება მეგობრების თავშეყრისას და მჟღავნდება, რომ მათ ერთმანეთის გასაჭირის შესახებ არაფერი იციან. სიუჟეტი აგებულია თანამედროვე იტალიელი სცენარისტისა და რეჟისორის, პაოლო კოსტელას, „იდეალური უცნობების“ მიხედვით. დასის წევრები სიამოვნებით ჩაერთნენ რეპეტიციებში. სპექტაკლში მოქმედება ვითარდება პანდემიის შემდეგ: მეგობრები იწყებენ თამაშს – ერთმანეთის მობილურებში შემოსული მესიჯების ხმამაღალი კითხვითა და ზარებზე ხმამაღალი პასუხით გამოაშკარავდება იდუმალება, რასაც თითოეული მათგანი ფარავს. გამჟღავნებული სიმართლე გულისტკივილს იწვევს, მაგრამ ცხოვრება გრძელდება... ერთმოქმედიანი გროტესკული კომედიით მინდოდა მთავარი სათქმელი გადმომეცა, რომ ამ ხანმოკლე ცხოვრებაში ადამიანებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი – გულწრფელობაა. სპექტაკლში მონაწილე სტუდენტ-მსახიობთაგან ორის გარდა, ყველა პირველად მონაწილეობს „ჰიგიას“ სპექტაკლში.

ჩვენი ახალგაზრდული დასი ერთი დიდი ოჯახია, ერთმანეთის პატივისცემით და მეგობრობით გამსჭვალული. სპექტაკლისთვის საჭირო ნივთები თითოეულმა მათგანმა შინიდან მოიტანა. ვცდილობდით, საუკეთესოდ წარვმდგარიყავით მაყურებლის წინაშე... წვრილმანები ქმნის ერთ მთლიანს, გუნდური შეკავშირებული მოქმედებით, თეატრის სიყვარულით მივდივართ სასურველ შედეგამდე, გამარჯვების სიხარულს კი რა შეედრება. წელს უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა „ჰიგიას“ ცხოვრებაში – ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, მარიამ ფანცულაიამ, სურვილი გამოთქვა ჩვენი დასის წევრი გამხდარიყო, რაც პრეცედენტულია ჩვენთვის, თანაც სასიხარულო.

„იდეალური უცნობები“ ორჯერ ვითამაშეთ სცენაზე და ორივე სპექტაკლი განსხვავებული შემადგენლობით წარვადგინეთ. ვფიქრობ, ორივე ჯგუფმა საუკეთესოდ ითამაშა.

ამ წარმატებაში დიდია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და თვითმმართველობის წვლილი. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა მათ თანადგომისთვის.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ხვიჩა სებუა (სებია), ანანო სიდამონიძე, გიორგი სანიკიძე, ბახვა გელაშვილი, ფეფე გოგნაძე, დუდუ მოდებაძე, ელენე უჯმაჯურიძე, მოლინა იოსელიანი, გიორგი ბრეგაძე, კატო ჭანჭალეიშვილი, ვახო კიკნაძე, ნატა სურმავა, მარიამ ფანცულაია, სალომე ხუტაშვილი, ინა ნიქაბაძე, თემო ჩხეიძე, თათა პაპაშვილი; ისინი სწორად ჩასწვდნენ რეჟისორის ჩანაფიქრს და სცენაზე საინტერესოდ გააცოცხლეს პერსონაჟები.

მთავარი ის გახლდათ, რომ სცენაზე ახალგაზრდული ენერგიის და სამსახიობო ოსტატობის ერთობლიობით, ხელოვნების ნამდვილი ზეიმი შეიქმნა. ყველაზე პატარა როლიც კი იმდენად მასშტაბური ემოციით შემოიჭრა მაყურებლის წინაშე, რომ პირველივე წამებში დაიმსახურა ოვაციები. სტუდენტმა მსახიობებმა სიუჟეტის განვითარებისას ოსტატურად ჩამოაყალიბეს სხვადასხვა ფსიქოტიპის პერსონაჟის ტკივილისა და სიმართლის, ტყუილისა და არაკეთილსინდისიერების ისტორიები. სპექტაკლი მსუბუქი იუმორითა და ღრმა დრამით მარადიულ თემებს შეეხო...

სტუდენტი მსახიობები ამ სპექტაკლის შესახებ სიამოვნებით საუბრობენ:

**გიორგი სანიკიძე**, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის IV სემესტრის სტუდენტი:

– „ჰიგიაში“ ყოფნის ოთხ წელს ვითვლი. დღევანდელ სპექტაკლი, ჩემთვის ძალიან საინტერესო და ახალი გამოწვევა აღმოჩნდა. ასეთი როლი არასდროს შემისრულებია. სრულიად განსხვავებულ პერსონაჟს ვთამაშობ. ყველა მსახიობისთვის და განსაკუთრებით, მოყვარულისთვის, მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ითამაშო შენი პიროვნებისგან რადიკალურად განსხვავებული როლი და ეს მე გამოვცადე; აქედან გამომდინარე, სპექტაკლზე მუშაობა ძალიან საინტერესო იყო და, ასევე, საინტერესოა რეჟისორული ნამუშევარი; სცენარიც იძლევა საშუალებას, რომ ბევრი ინტერპრეტაცია შეგვეტანა სპექტაკლში. სპექტაკლი თანამედროვეობაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენაზეა ადამიანის ყოფაში. თითქოს უწყინარმა თამაშმა ბევრი დაფარული ამოატივტივა და თვალხილული გახადა.

**ხვიჩა სებუა (სებია),** მედიცინის ფაკულტეტის VIII სემესტრის სტუდენტი:

– სპექტაკლში მონაწილე სტუდენტებისთვის თანამედროვე ავტორის პიესაში, რომელიც სერიოზულ პრობლემატიკას ეხება, მონაწილეობა საინტერესოა. ჩახლართული ამბები, რომელიც ერთ ოჯახში შეკრებილ მეგობრებს ეხება, ზოგადიცაა და არც ლოკალურად ტექნოლოგიების არსებობის პრობლემატიკით შემოსაზღვრული; ერთი სატელეფონო ზარით, შეიძლება ადამიანის შეცნობა, რომელიც თურმე სიმართლეს მალავს და საიდუმლოც გააჩნია. ეს ყველაფერი ძალიან თანამედროვეა და სცენაზე მისი გადმოტანა დროულიც, რადგანაც თანამედროვე სამყაროში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საფრთხეს ტელეფონიც წარმოადგენს. სპექტაკლში არის ასეთი ფრაზა: – ტელეფონი შავი ყუთია, სადაც ყველა ჩვენგანის ინფორმაცია ინახება და ბევრჯერ ადამიანური ურთიერთობების ნგრევის მაუწყებელია. მაყურებელი მიჩვეულია ჩვენს სპექტაკლებს, დღევანდელი სპექტაკლი კი განსხვავებულია, შესრულების თვალსაზრისითაც საკმაოდ რთულია, რადგან ადვილი არ არის მანერული ადამიანის თამაში. იმედია, მაყურებლისთვისაც საინტერესო აღმოჩნდება სპექტაკლი და დიდ სიამოვნებასაც მიიღებს ახალი, განსხვავებული ნამუშევარით.

სტომატოლოგიის ფაკულტეტის IV სემესტრის სტუდენტი **გიორგი ბრეგაძე** „ჰიგიაში“ სტუდენტად გახდომისთანავე ჩაერთო, მისთვის თეატრალურ წარმოდგენებში მონაწილეობა წინსვლისა და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა:

– ნათია გუჯაბიძის ირგვლივ გაერთიანებული სტუდენტები მეგობრობით, თანადგომით, საერთო ინტერესებით, თეატრის სიყვარულით გამოირჩევიან, და ამიტომაც თეატრმა „ჰიგიამ“, ნათია გუჯაბიძის ხელმძღვანელობით, ორ ათეულ წელზე მეტია, თსსუ-ის ხელოვნების მიმართულებით მრავალი ჯილდო და გამარჯვება შემატა. გიორგის აზრით, თითოეული როლი მნიშვნელოვანია, რომ მაყურებლისთვის საინტერესო და დასამახსოვრებელი სახე შექმნას. „იდეალური ადამიანები“, თითოეული მონაწილისთვის გარდასახვის ხელოვნებას მოითხოვდა, რადგანაც თანამედროვეობის ამსახველ მტკივნეულ თემას შეეხება – თანამედროვე ტექნოლოგიების მიერ წარმოშობილ დღევანდელობას, შეცვლილ დროს, ადამიანური ურთიერთობების გაქრობას, როცა ცოცხალი ემოციების ჩანაცვლება, უბრალოდ, სიცილის აღმნიშვნელი ნიშნით შეიძლება გამოხატო, რაც ასე მტკივნეულია ეპოქისთვის.

არაჩვეულებრივი იყო სპექტაკლის რეჟისორისეული გადაწყვეტა: მსახიობები თეფშებზე სახელდახელოდ მიხატული ნიღბებით დაფარული სახით დამშვიდობებოდნენ მაყურებლებს. ადამიანები საკუთარ ნიღბებს ეფარებიან... მართალია, ტექნოლოგიებმა გააადვილა კავშირი და კომუნიკაცია, მაგრამ ასევე გააადვილა პიროვნებისთვის საფრთხისშემცველი საიდუმლოების გამოაშკარავებაც... ადამიანები კი ყოველთვის მალავდნენ... ეს მხოლოდ დღევანდელობის პრობლემა არ გახლავთ...

თეატრ „ჰიგიასთვის“ უსაყვარლესმა და საერთოდ, ქართველი მაყურებლისთვის გამორჩეულმა რეჟისორმა, გოგი თოდაძემ, 80-იან წლებში, მარჯანიშვილის თეატრში დადგა სპექტაკლი „ნეაპოლი, მილიონერთა ქალაქი“. ეს ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებული თემატიკის სპექტაკლიც ადამიანის შიგნით დაფარულ განცდებსა და პიროვნულ დეფინიციას ეხება. ბატონი გოგისთვის ჩვეული იუმორით აშკარა ხდებოდა დიდი ტრაგედია: არავინ გააცოცხლებს მიცვალებულს, რადგან ყველა რაღაცას მალავს და ყველას რაღაც უშლის ხელს, უალტერნატივოდ უყვარდეს...

„იდეალურ უცნობებშიც“ სცენა ისე დატოვეს მსახიობებმა, არცერთ მათგანს არ უცდია, მეორეში „მოკლული“ პიროვნების გაცოცხლება. ეს დიდი ტრაგედიაა. საამაყოა, რომ „ჰიგია“ ასეთ რთულ და სათუთ თემაზე ესაუბრება მაყურებელს...

ორთვიანმა რეპეტიციებმა შედეგი გამოიღო, განსხვავებულმა სპექტაკლმა, რეჟისორის ნამუშევარმა, მონაწილეების მიერ რთული როლების სწორად გათავისებამ და მაყურებლამდე მიტანამ, გულწრფელი ემოცია და აპლოდისმენტები დაიმსახურა. ვულოცავთ „ჰიგიას“; მომავალში არაერთხელ ესახელებინოს ჩვენი Alma-Mater-ი და მაყურებელი ახალი სპექტაკლებით.

**მანანა ფხალაძე**

# მანუჩარ მაჩაიძის სახელობის მინი -საფეხბურთო ტურნირი



თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, (პრეზიდენტი ლადო გაბეჩავა, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თათა ღვინაძე, მოადგილეები – გიორგი მეზვრიშვილი და შალვა მღებრიშვილი) ჩატარდა ცნობილი ქართველი ფეხბურთელის – მანუჩარ მაჩაიძის სახელობის მინი-საფეხბურთო ტურნირი, რომელიც გრანდიოზული ფინალით დასრულდა.

საფინალო მატჩზე საპატიო სტუმრად იყო მიწვეული გამორჩეილი ქართველი ფეხბურთელი - თბილისის „დინამოს“ სახელოვანი კაპიტანი, ბატონი მანუჩარ მაჩაიძე.

ტურნირის ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვის უნივერსიტეტის სპორტის ცენტრს (დირექტორი – გიორგი შუბითიძე) და ყველა თანამშრომელს.

ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა თსსუ-ის 27-მა სტუდენტურმა გუნდმა. გუნდები დაიყო რვა ქვეჯგუფად, სადაც თამაშები წრიული სისტემით მიმდინარეობდა და პირველ და მეორე ადგილებზე გასულებს შანსი ეძლეოდათ, მონაწილეობა მიეღოთ მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში.

საბოლოოდ, ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გუნდები – „პირველი მერცხალი“ და „ლასთ დანს“ .

თამაში „პირველი მერცხალის“ სასარგებლოდ, ანგარიშით – 2:0 დასრულდა. ორივე გოლის ავტორი, დავით სულხანიშვილი, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა;

ტურნირის ბომბარდირი, 19 გატანილი გოლით, მირიან ჯაფიაშვილი გახდა, საუკეთესო მეკარე კი – თსსუ-ის ნაკრები გუნდის მეკარე – თორნიკე ფუტკარაძე.

ბატონმა მანუჩარ მაჩაიძემ გამარჯვებული გუნდი „პირველი მერცხალი“, ასევე, მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები და პრიზიორები დააჯილდოვა; მან ახალგაზრდებს სიტყვით მიმართა და წარმატებები უსურვა მომავალში, აღნიშნა, რომ სტუდენტებმა ისეთი შთამბეჭდავი თამაში აჩვენეს, მასაც გაუჩნდა სურვილი, ამ გუნდებთან ერთად თამაშისა. ბატონმა მანუჩარმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, სტუდენტურ თვითმმართველობას, სპორტის ცენტრს, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შესანიშნავი ტრადიციების შენარჩუნებისა და გაგრძელებისათვის.

თსსუ-ის სამედიცინო ბიოლოგიის და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბატონი დავით ცხომელიძე, ახალგაზრდებს სტუმრის – ცნობილი ფეხბურთელის, მანუჩარ მაჩაიძის, იმ დამსახურებებზე ესაუბრა, რაც მას თბილისის „დინამოს“ კაპიტნის რანგში თამაშის დროს ჰქონდა: „ამ დიდებული ფეხბურთელის სტუმრობა თსსუ-ში, მართლაც, დიდი პატივია“, – განაცხადა ბატონმა დავითმა და, ასევე, გაიხსენა მისი საუკეთესო თამაშების შესახებ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ყოფნისას.

საფინალო მატჩზე მოწვეული იყო დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციის ექს-პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ბატონი ავთანდილ კოკაია.

ბატონმა ვახტანგ ბაქანიძემ, ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ასევე, მსაჯმა და თსსუ-ის ფეხბურთის და ფუტსალის ნაკრები გუნდების მწვრთნელმა, საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელით, ბატონ მანუჩარ მაჩაიძეს, ქართული სპორტის ისტორიაში შეტანილი დიდი წვლილისთვის, მედალი გადასცა. აქვე ბატონმა ვახტანგმა აღნიშნა თსსუ-ის სტუდენტების – გიორგი მეზვრიშვილის, შალვა (შაკო) მღებრიშვილის და რესპუბლიკის კატეგორიის მსაჯის – მამუკა სიდამონიძის იმ დამსახურების შესახებ, რაც მათ ტურნირის მომზადებისთვის გასწიეს.

**თათა ღვინაძე,**
**თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი**



„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
რედაქტორი ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ.:555 29 98 27 დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu